



MES 2 23 0000183046



16/02/2023

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 15. 02. 2023

სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 20:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომი-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
3. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
5. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჯანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;

**10. დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);

**11. ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

**12. დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**13. ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

**14. გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები**

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ედვინი სირბილაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	ინგა აბრამიძე		ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	გიგა ქამუშაძე		„თურქოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი	I
4	ნინო ჩიხლაძე		„კლასიკური ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	I

5	ზვიად ცხვედიანი		„არაბისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	პაატა ჯაფარიძე		„ირანისტიკის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I
7	დარეჯან გარდავაძე	სიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8	ნანა გელაშვილი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
9	თათია მემარნიშვილი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
10	თეა შურღაია		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	მარინა ალექსიძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
12	ელისო ბჟალავა		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	II
13	ნინო კვირიკაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი	II
14	ირმა გრძელიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი	II, III
15	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი	II, III
16	ირმა რატიანი			III

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი		
17	რამაზ ქურდაძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III	
18	ელგუჯა ხინთიბიძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III	
19	აბა ხარანაული		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III	
20	ნათია ჩანტლაძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III	
21	რუსუდან ასათიანი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III	
22	ქეთევან სიხარულიძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III	
23	ეკა ნავროზაშვილი		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III	
24	სოფო პაპიაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი	III	
25	ზურაბ პაპასკირი	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი		IV, V	
26	ლია ახალაძე			IV, V	
27	კახაბერ ფიფია			IV, V	
28	ჯონი ავაქიძე			IV, V	
29	ლედა ქობალია			IV, V	
30	ირინა ყრუაშვილი			IV, V	
31	მაია მარღანია			IV, V	

32	რომეო გალდავა		IV, V
----	---------------	--	-------

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	დარეჯან გარდავაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მარინე გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თეა შურღია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ელისაბედ მაჩიტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	თამარ მოსიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
6	ლიანა ჭყონია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
7	გიგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
8	ანა ჭრელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
9	ზვიად ცხვედიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ნინო ჭანტურია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	ელისო ელისაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
12	თამთა ლეკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
13	პაატა ჯაფარიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
14	ნინო ქოთოლაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
15	ლევან ცაგარელი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
16	ეკატერინე ბაკარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
17	ნინო ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
18	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
19	დავით კაკიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
20	მარიამ ბანძელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

21	რევაზ ტაბატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
22	სალომე პატარიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
23	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
24	ნინო ჯავახიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
25	ბონდო კუპატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
26	ემზარ მაკარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
27	ქეთევან დიღმელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
28	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
29	ნინო შანგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო, "არაბისტიკის" საბაკალავრო, "ირანისტიკის" საბაკალავრო, "კლასიკური ფილოლოგიის" საბაკალავრო, "თურქოლოგიის" სამაგისტრო, "არაბისტიკის" სამაგისტრო, "ირანისტიკის" სამაგისტრო და "კლასიკური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არაბისტიკის" საბაკალავრო, "არაბისტიკის" სამაგისტრო, "ირანისტიკის" საბაკალავრო, "ირანისტიკის" სამაგისტრო, "თურქოლოგიის" საბაკალავრო, "თურქოლოგიის" სამაგისტრო, "შორეული აღმოსავლეთი, იაპონისტიკის" საბაკალავრო, "შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო, „ქართველური ენათმეცნიერების“, „ქართული ლიტერატურის“, „ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების“, „ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის“, „შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის“ სამაგისტრო და "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის", "გერმანული ფილოლოგიის" და "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" და "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

### **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

### **დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო, "არაბისტიკის" საბაკალავრო, "ირანისტიკის" საბაკალავრო, "კლასიკური ფილოლოგიის" საბაკალავრო, "თურქოლოგიის" სამაგისტრო, "არაბისტიკის" სამაგისტრო, "ირანისტიკის" სამაგისტრო და "კლასიკური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი განხილვა;

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არაბისტიკის" საბაკალავრო, "არაბისტიკის" სამაგისტრო, "ირანისტიკის" საბაკალავრო, "ირანისტიკის" სამაგისტრო, "თურქოლოგიის" საბაკალავრო, "თურქოლოგიის" სამაგისტრო, "შორეული აღმოსავლეთი, იაპონისტიკის" საბაკალავრო, "შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი განხილვა;

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო, „ქართველური ენათმეცნიერების", "ქართული ლიტერატურის", "ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების", "ლიტერატურათმცოდნეობის, ტექსტოლოგიის და სარედაქციო-საგამომცემლო საქმის", "შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის" სამაგისტრო და "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის", "გერმანული ფილოლოგიის" და "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" და "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**1.პირველი საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო, "არაბისტიკის" საბაკალავრო, "ირანისტიკის" საბაკალავრო, "კლასიკური ფილოლოგიის" საბაკალავრო, "თურქოლოგიის" სამაგისტრო, "არაბისტიკის" სამაგისტრო, "ირანისტიკის" სამაგისტრო და "კლასიკური ფილოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი განხილვა

### **საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

### **საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

## **პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

### **ექსპერტების პოზიციის განხილვა**

#### **საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დარეჯან გარდავაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობისა და კლასიკური ფილოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული იყო რვა საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეფასდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემდეგი შემადგენლობით: დარეჯან გარდავაძე (თავმჯდომარე), მარინე გიორგაძე, თეა შურღია, ელისაბედ მაჩიტაძე, თამარ მოსიაშვილი, ლიანა ჭყონია, გიგა ხოსიტაშვილი და ანა ჭრელაშვილი.

დარეჯან გარდავაძემ აღნიშნა, რომ კლასტერული აკრედიტაციისთვის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2022 წლის 26-27-28 დეკემბერს, სადაც ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო შესაფასებელი კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამების საუნივერსიტეტო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, საბიბლიოთეკო რესურსებს, შეხვდა უნივერსიტეტის ცენტრალურ და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სამსახურების ხელმძღვანელებსა და წევრებს, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებსა და განმახორციელებელ პერსონალს - აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და შრომითი ბაზრის წარმომადგენელ დამსაქმებლებს. დარეჯან გარდავაძემ განმარტა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობა და კლასიკური ფილოლოგია არის სპეციფიური დარგები. პროგრამაზე არსებობს მდგრადი განვითარების ტენდენცია. თვითშეფასებაში ახალ პროგრამად წარმოდგენილია კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა. გარდა ამისა, აღმოსავლეთმცოდნეობის პროფილის პროგრამებშიც არის ბევრი სიახლე იმიტომ, რომ პირველი აკრედიტაცია დაწესებულებამ გაიარა როგორც აღმოსავლური ფილოლოგიის ერთიანმა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებმა. 12 წლის განმავლობაში უნივერსიტეტმა მოახერხა ამ დარგებში წარმოედგინა დამოუკიდებელი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები არაბისტიკის, ირანისტიკისა და თურქოლოგიის დარგებში. მათი მისანიჭებელი კვალიფიკაცია წმინდა ფილოლოგიური პროფილიდან შეიძინა სოციოკულტურული ასპექტების გარკვეული ელემენტები. შესაბამისად, მათი მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახდა არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიითურქოლოგიური და მაგისტრი. დარეჯან გარდავაძემ განაცხადა, რომ პროგრამები სტანდარტებთან შესაბამისია. კლასტერული აკრედიტაციის ყოველი რეკომენდაციისა თუ რჩევის მთავარი პრინციპი არის ის, რომ მომავალ 7 წლიან პერიოდში განვითარდეს პროგრამა. ახალი შექმნილი პროგრამების - სოციოკულტურული და საზოგადოებათმცოდნეობის ასპექტების ეტაპობრივი გაძლიერება უნდა მოხდეს როგორც კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო დისციპლინებით, ისე მათი წარმმართველი ადგილობრივი ახალგაზრდა კადრებით. მისი თქმით, არაბისტიკის, ირანისტიკისა და თურქოლოგიის საბაკათურქოლოგიურამები არის ერთი სტრუქტურით აგებული. უნივერსიტეტს ამ პროგრამებში შეტანილი აქვს 10 კრედიტიანი საკურსო ნაშრომი, რომელიც თავისი მომზადებისა და დაცვის წესით ძალიან ჰგავს საბაკალავრო ნაშრომს. რეკომენდაცია არის, რომ 10 კრედიტიანი საკურსო ნაშრომი იქცეს საბაკალავრო ნაშრომად, რომელიც სტუდენტის ავტონომიურობა-პასუხისმგებლობის ხარისხსაც და ნაშრომის ღირებულება-მნიშვნელობას აამაღლებს. ასეთი რეკომენდაცია გაიცა სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებითაც. მისი თქმით, 30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომის გარდა



უნივერსიტეტს სასწავლო გეგმაში სავალდებულო სტატუსით წარმოდგენილი აქვს 5 კრედიტიანი საკურსო ნაშრომი, რომლის არსიც არის კვლევითი კომპონენტის გაძლიერება. რეკომენდაცია არის, რომ დაიფაროს კვლევითი კომპონენტი ცალკეული დისციპლინებით და გაძლიერდეს, რათა არ იქნას წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის გვერდზე 5 კრედიტიანი დამოუკიდებელი საკურსო ნაშრომი. გარდა ამისა, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების მიმართ გაიცა რეკომენდაციები. რეკომენდებულია, კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმაში ფილოლოგიის კომპეტენციების გამომუშავების თვალსაზრისით ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლო კურსები, როგორცაა „ენათმეცნიერების შესავალი“ და „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“ პროგრამის ფილოლოგიური შინაარსიდან და კვალიფიკაციიდან გამომდინარე განისაზღვროს სავალდებულო საგნებად. მისი განმარტებით, ტექნიკური უზუსტობა გამოიკვეთა დასკვნაში, კერძოდ მიზანშეწონილია, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, სასწავლო კურსის - „რომაული ლიტერატურა: ძვ. წ. III-I სს.“ წინაპირობად მითითებულია „ძველი ბერძნული ენა 2“ რაც არალოგიკურია. პროგრამაზე მიღების ღია წინაპირობიდან (ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლის სფეროს დაუკონკრეტებლად) და პროგრამაზე ჩარიცხვის დღემდე არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია პირველ და მეორე სემესტრში კრედიტები დაეთმოს კლასიკური ენების ინტენსიურ შესწავლას, ხოლო მესამე სემესტრში - ბერძენი და რომაელი ავტორები იქნეს შეტანილი. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, დარეჯან გარდავაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ საუნივერსიტეტო გარემო არის სტუდენტზე ორიენტირებული.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა კორძაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორ გეგმავს უნივერსიტეტი 4.1 რეკომენდაციის შესრულებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად ცხვედიანმა განაცხადა, რომ არის ტენდენცია იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილზე მომზადდეს კვალიფიციური კადრი. მისი თქმით, პროგრამაზე არის დოქტორანტი არაბისტიკის მიმართულებით. გარდა ამისა, ირანისტიკის მიმართულებითაც, ხოლო თურქოლოგიის მიმართულებით, ამჟამად, ერთმა დოქტორანტმა თურქეთში დაიცვა დისერტაცია, რომელსაც მიენიჭა დოქტორის ხარისხი.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჯანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს იყო თუ არა საკურსო ნაშრომი პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის ნაწილი. გარდა ამისა, თუ დაწესებულება გადაწყვეტს საკურსო ნაშრომის მაგივრად იყოს საბაკალავრო ნაშრომი, არჩევითი იქნება თუ სავალდებულო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად ცხვედიანმა განაცხადა, რომ საკურსო ნაშრომი საბაკალავრო პროგრამებში წარმოადგენს სავალდებულო 5 კრედიტს. რეკომენდაცია არის, რომ საკურსო ნაშრომის მაგივრად იყოს საბაკალავრო ნაშრომი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის მისაღებია საკურსო ნაშრომის ნაცვლად საბაკალავრო პროგრამებში იყოს საბაკალავრო ნაშრომი - 10 კრედიტით, რომელიც იქნება სავალდებულო.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. რამდენად არის რეალისტური სწავლის შედეგების მიღწევა მოცემული სასწავლო კურსებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, დარეჯან გარდავაძემ განმარტა, რომ დღევანდელ ეტაპზე სოციალ-კულტურული პროგრამის კურიკულუმი შევსებულია და რამდენიმე ლექტორი კითხულობს სხვადასხვა მიმართულების კურსს. მისი თქმით, რეკომენდაცია არის, რომ მოხდეს კონკრეტული პროფილის მიხედვით სპეციალიზაცია და ახალგაზრდა კადრების მომზადება კონკრეტული მიმართულების მიხედვით. მისი თქმით, ეს წარმოადგენს მომავალი 7 წლის განვითარების ხაზს. მისი აზრით, ირანისტიკის, არაბისტიკისა და თურქოლოგიის გაძლიერება მოხდება და მომავალი აკრედიტაცია იქნება ამ ტენდენციების გაძლიერების დამადასტურებელი. ენის დაუფლების დარგობრივ სტანდარტის მინიმალურ მოთხოვნას დღეის მდგომარეობით პროგრამები აკმაყოფილებენ.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 12:35**

**დასრულების დრო: 12:46**

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის მიმართებით შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციების და რჩევები:

## **რეკომენდაციები:**

- პროგრამების მდგრადობის მიზნით, რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალით;
- მიზანშეწონილია, სოციოკულტურული და საზოგადოებათმცოდნეობითი ასპექტების ეტაპობრივი გაძლიერება არაბისტიკა/ირანისტიკა/თურქოლოგიის პროგრამებში და კურიკულუმში ასახვა სასწავლო კურსების სახით, ამ პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან (არაბისტიკა/ირანისტიკა/თურქოლოგია) და ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტისთვის დათმობილი კრედიტების სოლიდური მოცულობიდან გამომდინარე.

- რეკომენდებულია, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში 10 კრედიტიანი საკურსო ნაშრომის ნაცვლად მიზანშეწონილია საბაკალავრო ნაშრომის შეტანა, რომელიც ერთგვარად აჯამებს პროგრამით მისანიჭებელ კომპეტენციებს და სტუდენტს გამოუმუშავებს ძირითადი სწავლის სფეროს გაცნობიერებულ ცოდნას, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხის უნარებს;
- რეკომენდირებულია, თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მეტი ძალისხმევა მოხმარდეს ადგილობრივი კადრების აღზრდას, რომლებიც კურსების ავტორობას და წაძღვლას შეძლებდნენ.

## რჩევები:

- სასურველია, კრიტიკულად გადაიხედოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამებზე თანდართული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო კომპონენტების ფარგლებში შემუშავებული შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები, რათა მათი მეშვეობით რეალურად და ეფექტურად მოხდეს სწავლის შედეგების ეტაპობრივი შემოწმება და შეფასება ხანგრძლივადიან დროით პერსპექტივაში;
- სასურველია, კლასტერის საბაკალავრო პროგრამებში არაბული/სპარსული/თურქული ენა 3,4,5,6,7,8 სასწავლო კურსებში საკონტაქტო კვირეული 5 სთ-ის მიცემა, თანაბრად კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ძვ. ბერძნული და ლათინურის ენების საკონტაქტო კვირეული საათებისა, მიზანშეწონილად გვეჩვენება ამ ცოცხალ ენებში შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამოსამუშავლად;
- თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლების სფეროს დაკონკრეტების გარეშე, მნიშვნელოვანია, მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში გამოიკვეთოს სასპეციალიზაციო ენების ცოდნის მაღალი დონე, რადგან სამაგისტრო კურიკულუმით განსაზღვრული დისციპლინები მოითხოვენ ენის ღრმა ცოდნას;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად გაუწიონ პოპულარიზაცია აწსუ-ს წვდომაში არსებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს და სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმონ იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც მაგისტრანტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს, ისე მაგისტრანტთა ენობრივ კომპეტენციებს. ასევე წახალისონ მაგისტრანტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამაგისტრო კვლევითი პროექტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;
- კლასტერის აღმოსავლური ენების დაუფლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კლასიკური ენებისგან განსხვავებით, ისაა, რომ ისინი ცოცხალი აღმოსავლური ენების შესწავლის პრაქტიკულ კომპონენტს უთმობენ კრედიტების სოლიდურ მოცულობას, რაც შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამომუშავებას ითვალისწინებს სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდებით, ამიტომაც ამ ენების დასკვნითი გამოცდების მხოლოდ წერითი ფორმით ჩატარება ათვისებული ენობრივი კომპეტენციების შესაფასებლად არ გვეჩვენება საკმარისი, იმის მიუხედავად, რომ შუალედური შეფასების ფორმები ზეპირ გამოკითხვას მოიცავენ. ვფიქრობთ, სასურველია, ამ კურსებში ჩატარდეს კომბინირებული (წერა ზეპირი) გამოცდა;

- მოქმედი რეგულაციით, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა 60 ქულიანი შუალედური შეფასებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა. დასკვნით გამოცდაზე (რომელიც 40 ქულიანია) სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი კი განსაზღვრულია 15 ქულით. ამ წესით, სტუდენტი, რომელიც შუალედურ შეფასებაშიც მინიმალურ დადებით ზღვარს აღწევს და დასკვნით გამოცდაშიც, ამ ქულათა ჯამით (18 + 15), 23 ქულით, დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლებას მაინც ვერ იღებს. ხომ არ აჯობებდა, შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრების გადალახვა სტუდენტს აძლევდეს იმის საშუალებას, დამოუკიდებელი მუშაობისა და საგნის მასალის მომზადების შემთხვევაში განმეორებით გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, რათა შეფასება რეალურად იყოს განმავითარებელი.
- ინტერვიუებზე გაირკვა, რომ სამაგისტრო ნაშრომები პლაგიატის პრევენციისათვის Turnitin ელექტრონულ პროგრამაში ადმინისტრაციულად იტვირთება და მოწმდება, შემდეგ კი შედეგები ეცნობება ნაშრომის ხელმძღვანელს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომებს Turnitin ელექტრონულ პროგრამაში თავად სტუდენტი ტვირთავდეს და შემდეგ შედეგებს წარუდგენდეს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ეს აამაღლებს მის პერსონალურ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, დადებითად იმოქმედებს ნაშრომის ხარისხზე. ასევე სასურველია, რომ Turnitin ელექტრონულ პროგრამაში მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომები კი არ გატარდეს, არამედ დაინერგოს მისი გამოყენება ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კონკრეტული ფორმების (ესე, რეფერატი) მომზადებისა და წარმოდგენისასაც;
- სასურველია, უსდ-მ მეტი აქტივობა განახორციელოს სტუდენტთა ინფორმირების მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ;
- სასურველია, მეტი ძალისხმევა იქნას გაღებული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის, ერასმუს + გაცვლით სასწავლო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით;
- ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს სტუდენტური გამოკითხვის ფორმების გამრავალფეროვნებასა და მათში მეტი კონკრეტიკის შეტანას;
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, მაგისტრანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის თანამშრომლობის ხარისხისა და ეფექტურობის ასაამაღლებლად, სასურველია, შემუშავდეს სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელთა შეფასების წესი და გამოკითხვის ფორმა;
- სასურველია, ინსტიტუციამ სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმებით მეტი მოტივაცია გაუჩინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, იზრუნონ პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების პუბლიკაციაზე, რაც დადებითად აისახება როგორც საუნივერსიტეტო სამეცნიერო რეიტინგზე, ისე სწავლების ხარისხზე;
- სასურველია, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის დისტანციურ რეჟიმშიც ხელმისაწვდომი იყოს ყველა ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზა, რომელზე წვდომის უფლებაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს;
- სასურველია, კლასტერის ფარგლებში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა თუ მოწვეულმა პერსონალმა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, სასწავლო კურსების განხორციელებისა თუ სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმოს იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც სტუდენტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სტუდენტური ნაშრომების ხარისხს, ისე მათ ენობრივ კომპეტენციებს;

- სასურველია, კოლეგიალური შეფასებები განხორციელდეს კონკრეტული პარტნიორი ინსტიტუციების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით და არა ინდივიდუალურად, რაც უზრუნველყოფს უფრო ობიექტური სურათის წარმოჩენას; ასევე სასურველია ეს მოხდეს პროგრამული პაკეტების განახლების ადრეულ ეტაპზე, რათა ცვლილებების საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს დროული ინტერვენციების განხორციელება;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გამოკითხვის ფორმა, რომლითაც მოხდება მაგისტრანტების მიერ მათი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასება; შესაძლებელია ამ მონაცემების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება.
- სასურველია, სტუდენტს არჩევითი კურსების სემესტრული განაწილების ოპტიმალური ჩამონათვალი მიეცეს;
- სასურველია, სტუდენტს არჩევითი კურსების სემესტრული განაწილების ოპტიმალური ჩამონათვალი მიეცეს;
- რიგი საბაკალავრო თუ სამაგისტრო კურსი (როგორცაა, მაგ., შესავალი სუფიზმში, გენდერის საკითხი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთის კულტურა, აღმოსავლური ფოლკლორი, კლასიკური არაბული პროზა და ადაბი, არაბული ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა, XX საუკუნისა და თანამედროვე სპარსული რომანი, უახლესი თურქული ლიტერატურის ისტორია და სხვ.) სასწავლო ლიტერატურის შევსებას მოითხოვს უახლესი გამოცემებით, მათ შორის, ევროპული კვლევების მიღწევათა ასახვას (თუნდაც კურსის რიდერების სახით);
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები იყოს ნაკლებ სტანდარტული და უფრო მეტად მორგებული კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და საჭიროებებს.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმალლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის მიმართებით შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

## რეკომენდაციები:

- პროგრამების მდგრადობის მიზნით, რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალით;
- არაბისტიკა/ირანისტიკა/თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმაში სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში მაგისტრანტის კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშესაწყობად შეტანილი საკურსო ნაშრომი ზედმეტად და დაუსაბუთებლად გვეჩვენება იმ ფონზე, როცა პროგრამის სასწავლო კურსთა დიდი ნაწილი შეფასების ფორმებად დისკუსიის, ესესა და პრეზენტაციის შეფასებას ითვალისწინებს და სტუდენტს კვლევითი კომპონენტი – სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტის მოცულობით აქვს შესასრულებელი. მიზანშეწონილია, კვლევითი კომპონენტი ცალკეულ სამაგისტრო დისციპლინებში ინტეგრირდეს და გაძლიერდეს;
- რეკომენდირებულია, თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მეტი ძალისხმევა მოხმარდეს ადგილობრივი კადრების აღზრდას, რომლებიც კურსების ავტორობას და წამლობას შეძლებდნენ.

## რჩევები:

- სასურველია, კრიტიკულად გადაიხედოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამებზე თანდართული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო კომპონენტების ფარგლებში შემუშავებული შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები, რათა მათი მეშვეობით რეალურად და ეფექტურად მოხდეს სწავლის შედეგების ეტაპობრივი შემოწმება და შეფასება ხანგრძლივადიან დროით პერსპექტივაში;
- სასურველია, კლასტერის საბაკალავრო პროგრამებში არაბული/სპარსული/თურქული ენა 3,4,5,6,7,8 სასწავლო კურსებში საკონტაქტო კვირეული 5 სთ-ის მიცემა, თანაბრად კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ძვ. ბერძნული და ლათინურის ენების საკონტაქტო კვირეული საათებისა, მიზანშეუწონლად გვეჩვენება ამ ცოცხალ ენებში შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამოსამუშავებლად;
- თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლების სფეროს დაკონკრეტების გარეშე, მნიშვნელოვანია, მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში გამოიკვეთოს სასპეციალიზაციო ენების ცოდნის მაღალი დონე, რადგან სამაგისტრო კურიკულუმით განსაზღვრული დისციპლინები მოითხოვენ ენის ღრმა ცოდნას;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად გაუწიონ პოპულარიზაცია აწსუ-ს წვდომაში არსებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს და სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმონ იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც მაგისტრანტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს, ისე მაგისტრანტთა ენობრივ კომპეტენციებს. ასევე წახალისონ მაგისტრანტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამაგისტრო კვლევითი პროექტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;
- კლასტერის აღმოსავლური ენების დაუფლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კლასიკური ენებისგან განსხვავებით, ისაა, რომ ისინი ცოცხალი აღმოსავლური ენების შესწავლის პრაქტიკულ კომპონენტს უთმობენ კრედიტების სოლიდურ მოცულობას, რაც შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამომუშავებას ითვალისწინებს სწავლა-სწავლების რელევანტური

მეთოდებით, ამიტომაც ამ ენების დასკვნითი გამოცდების მხოლოდ წერითი ფორმით ჩატარება ათვისებული ენობრივი კომპეტენციების შესაფასებლად არ გვეჩვენება საკმარისი, იმის მიუხედავად, რომ შუალედური შეფასების ფორმები ზეპირ გამოკითხვას მოიცავენ. ვფიქრობთ, სასურველია, ამ კურსებში ჩატარდეს კომბინირებული (წერა ზეპირი) გამოცდა;

- მოქმედი რეგულაციით, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა 60 ქულიანი შუალედური შეფასებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა. დასკვნით გამოცდაზე (რომელიც 40ქულიანია) სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი კი განსაზღვრულია 15 ქულით. ამ წესით, სტუდენტი, რომელიც შუალედურ შეფასებაშიც მინიმალურ დადებით ზღვარს აღწევს და დასკვნით გამოცდაშიც, ამ ქულათა ჯამით (18 + 15), 23 ქულით, დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლებას მაინც ვერ იღებს. ხომ არ აჯობებდა, შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრების გადალახვა სტუდენტს აძლევდეს იმის საშუალებას, დამოუკიდებელი მუშაობისა და საგნის მასალის მომზადების შემთხვევაში განმეორებით გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, რათა შეფასება რეალურად იყოს განმავითარებელი.
- ინტერვიუებზე გაირკვა, რომ სამაგისტრო ნაშრომები პლაგიატის პრევენციისათვის Turnitin ელექტრონულ პროგრამაში ადმინისტრაციულად იტვირთება და მოწმდება, შემდეგ კი შედეგები ეცნობება ნაშრომის ხელმძღვანელს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომებს Turnitin ელექტრონულ პროგრამაში თავად სტუდენტი იტვირთავდეს და შემდეგ შედეგებს წარუდგენდეს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ეს აამაღლებს მის პერსონალურ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, დადებითად იმოქმედებს ნაშრომის ხარისხზე. ასევე სასურველია, რომ Turnitin ელექტრონულ პროგრამაში მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომები კი არ გატარდეს, არამედ დაინერგოს მისი გამოყენება ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კონკრეტული ფორმების (ესე, რეფერატი) მომზადებისა და წარმოდგენისასაც;
- სასურველია, უსდ-მ მეტი აქტივობა განახორციელოს სტუდენტთა ინფორმირების მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ;
- სასურველია, მეტი ძალისხმევა იქნას გაღებული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის, ერასმუს + გაცვლით სასწავლო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით;
- ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს სტუდენტური გამოკითხვის ფორმების გამრავალფეროვნებასა და მათში მეტი კონკრეტიკის შეტანას;
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, მაგისტრანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის თანამშრომლობის ხარისხისა და ეფექტურობის ასამაღლებლად, სასურველია, შემუშავდეს სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელთა შეფასების წესი და გამოკითხვის ფორმა;
- სასურველია, ინსტიტუციამ სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმებით მეტი მოტივაცია გაუჩინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, იზრუნონ პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების პუბლიკაციაზე, რაც დადებითად აისახება როგორც საუნივერსიტეტო სამეცნიერო რეიტინგზე, ისე სწავლების ხარისხზე;
- სასურველია, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის დისტანციურ რეჟიმშიც ხელმისაწვდომი იყოს ყველა ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზა, რომელზე წვდომის უფლებაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს;
- სასურველია, კლასტერის ფარგლებში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა თუ მოწვეულმა პერსონალმა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, სასწავლო კურსების

განხორციელებისა თუ სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმოს იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც სტუდენტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სტუდენტური ნაშრომების ხარისხს, ისე მათ ენობრივ კომპეტენციებს;

- სასურველია, კოლეგიალური შეფასებები განხორციელდეს კონკრეტული პარტნიორი ინსტიტუციების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით და არა ინდივიდუალურად, რაც უზრუნველყოფს უფრო ობიექტური სურათის წარმოჩენას; ასევე სასურველია ეს მოხდეს პროგრამული პაკეტების განახლების ადრეულ ეტაპზე, რათა ცვლილებების საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს დროული ინტერვენციების განხორციელება;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გამოკითხვის ფორმა, რომლითაც მოხდება მაგისტრანტების მიერ მათი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასება; შესაძლებელია ამ მონაცემების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება.
- აღმოსავლური ენებიდან ქართულად და ქართულიდან აღმოსავლურ ენებზე თარგმანის პრაქტიკული კურსებისთვის თარგმანის პროექტის სახელწოდების მიცემა გარკვეულწილად აზუნდოვანებს შინაარსს. უმჯობესია, შერჩეულ იქნას უფრო ადეკვატური სახელწოდება;
- რიგი საბაკალავრო თუ სამაგისტრო კურსი (როგორცაა, მაგ., შესავალი სუფიზმში, გენდერის საკითხი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ახლო აღმოსავლეთის კულტურა, აღმოსავლური ფოლკლორი, კლასიკური არაბული პროზა და ადაბი, არაბული ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობა, XX საუკუნისა და თანამედროვე სპარსული რომანი, უახლესი თურქული ლიტერატურის ისტორია და სხვ.) სასწავლო ლიტერატურის შევსებას მოითხოვს უახლესი გამოცემებით, მათ შორის, ევროპული კვლევების მიღწევათა ასახვას (თუნდაც კურსის რიდერების სახით);
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები იყოს ნაკლებ სტანდარტული და უფრო მეტად მორგებული კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და საჭიროებებს

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არაბისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:** „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არაბისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.



საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის მიმართებით შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

### რეკომენდაციები:

- პროგრამების მდგრადობის მიზნით, რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალით;
- მიზანშეწონილია, სოციოკულტურული და საზოგადოებრივ-მეცნიერებითი ასპექტების ეტაპობრივი გაძლიერება არაბისტიკა/ირანისტიკა/თურქოლოგიის პროგრამებში და კურიკულუმში ასახვა სასწავლო კურსების სახით, ამ პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან (არაბისტიკა/ირანისტიკა/თურქოლოგია) და ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტისთვის დათმობილი კრედიტების სოლიდური მოცულობიდან გამომდინარე.
- რეკომენდებულია, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში 10 კრედიტიანი საკურსო ნაშრომის ნაცვლად მიზანშეწონილია საბაკალავრო ნაშრომის შეტანა, რომელიც ერთგვარად აჯამებს პროგრამით მისანიჭებელ კომპეტენციებს და სტუდენტს გამოუმუშავებს ძირითადი სწავლის სფეროს გაცნობიერებულ ცოდნას, დასკვნის, კრიტიკული აზროვნების, მსჯელობის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მაღალი ხარისხის უნარებს;
- რეკომენდირებულია, თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მეტი ძალისხმევა მოხმარდეს ადგილობრივი კადრების აღზრდას, რომლებიც კურსების ავტორობას და წამდლას შეძლებდნენ.

### რჩევები:

- სასურველია, კრიტიკულად გადაიხედოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამებზე თანდართული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო კომპონენტების ფარგლებში შემუშავებული შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები, რათა მათი მეშვეობით რეალურად და ეფექტურად მოხდეს სწავლის შედეგების ეტაპობრივი შემოწმება და შეფასება ხანგრძლივადიან დროით პერსპექტივაში;
- სასურველია, კლასტერის საბაკალავრო პროგრამებში არაბული/სპარსული/თურქული ენა 3,4,5,6,7,8 სასწავლო კურსებში საკონტაქტო კვირეული 5 სთ-ის მიცემა, თანაბრად კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ძვ. ბერძნული და ლათინურის ენების საკონტაქტო კვირეული საათებისა, მიზანშეწონილად გვეჩვენება ამ ცოცხალ ენებში შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამოსამუშავებლად;
- თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლების სფეროს დაკონკრეტების გარეშე, მნიშვნელოვანია, მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში გამოიკვეთოს სასპეციალიზაციო ენების ცოდნის მაღალი დონე, რადგან სამაგისტრო კურიკულუმით განსაზღვრული დისციპლინები მოითხოვენ ენის ღრმა ცოდნას;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად გაუწიონ პოპულარიზაცია აწსუ-ს წვდომაში არსებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს და სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმონ იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც მაგისტრანტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს, ისე მაგისტრანტთა ენობრივ კომპეტენციებს. ასევე

წახალისონ მაგისტრანტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამაგისტრო კვლევითი პროექტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;

- კლასტერის აღმოსავლური ენების დაუფლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კლასიკური ენებისგან განსხვავებით, ისაა, რომ ისინი ცოცხალი აღმოსავლური ენების შესწავლის პრაქტიკულ კომპონენტს უთმობენ კრედიტების სოლიდურ მოცულობას, რაც შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამომუშავებას ითვალისწინებს სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდებით, ამიტომაც ამ ენების დასკვნითი გამოცდების მხოლოდ წერითი ფორმით ჩატარება ათვისებული ენობრივი კომპეტენციების შესაფასებლად არ გვეჩვენება საკმარისი, იმის მიუხედავად, რომ შუალედური შეფასების ფორმები ზეპირ გამოკითხვას მოიცავენ. ვფიქრობთ, სასურველია, ამ კურსებში ჩატარდეს კომბინირებული (წერა ზეპირი) გამოცდა;
- მოქმედი რეგულაციით, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა 60 ქულიანი შუალედური შეფასებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა. დასკვნით გამოცდაზე (რომელიც 40ქულიანია) სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი კი განსაზღვრულია 15 ქულით. ამ წესით, სტუდენტი, რომელიც შუალედურ შეფასებაშიც მინიმალურ დადებით ზღვარს აღწევს და დასკვნით გამოცდაშიც, ამ ქულათა ჯამით (18 + 15), 23 ქულით, დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლებას მაინც ვერ იღებს. ხომ არ აჯობებდა, შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრების გადალახვა სტუდენტს აძლევდეს იმის საშუალებას, დამოუკიდებელი მუშაობისა და საგნის მასალის მომზადების შემთხვევაში განმეორებით გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, რათა შეფასება რეალურად იყოს განმავითარებელი.
**გადაწყვეტილება:** „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლასიკური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის მიმართებით შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:



## რეკომენდაციები:

- პროგრამების მდგრადობის მიზნით, რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს დარგობრივი მიმართულების აკადემიური პერსონალით;
- რეკომენდებულია, სხვადასხვა სემესტრში ისწავლებოდეს პროგრამის სსწავლო გეგმის მიხედვით, ერთსა და იმავე (მეორე) სემესტრში ჩასმული ლათინური ენა (არჩევითი) და რომაელი ავტორი (ძირითადი);
- პროგრამაზე მიღების ღია წინაპირობიდან (ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლის სფეროს დაუკონკრეტებლად) და პროგრამაზე ჩარიცხვის დღემდე არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილი იქნება პირველ და მეორე სემესტრში კრედიტები დაეთმოს კლასიკური ენების ინტენსიურ შესწავლას, ხოლო მესამე სემესტრში - ბერძენი და რომაელი ავტორები იქნეს შეტანილი.

## რჩევები:

- სასურველია, კრიტიკულად გადაიხედოს კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამებზე თანდართული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო კომპონენტების ფარგლებში შემუშავებული შეფასების ფორმები და სამიზნე ნიშნულები, რათა მათი მეშვეობით რეალურად და ეფექტურად მოხდეს სწავლის შედეგების ეტაპობრივი შემოწმება და შეფასება ხანგრძლივადიან დროით პერსპექტივაში;
- სასურველია, კლასტერის საბაკალავრო პროგრამებში არაბული/სპარსული/თურქული ენა 3,4,5,6,7,8 სასწავლო კურსებში საკონტაქტო კვირეული 5 სთ-ის მიცემა, თანაბრად კლასიკური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში ძვ. ბერძნული და ლათინურის ენების საკონტაქტო კვირეული საათებისა, მიზანშეწონილად გვეჩვენება ამ ცოცხალ ენებში შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამოსამუშავლად;
- თურქოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სწავლების სფეროს დაკონკრეტების გარეშე, მნიშვნელოვანია, მისაღებ გამოცდაზე სპეციალობაში გამოიკვეთოს სასპეციალიზაციო ენების ცოდნის მაღალი დონე, რადგან სამაგისტრო კურიკულუმით განსაზღვრული დისციპლინები მოითხოვენ ენის ღრმა ცოდნას;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელებმა მაქსიმალურად გაუწიონ პოპულარიზაცია აწსუ-ს წვდომაში არსებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებს და სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმონ იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც მაგისტრანტებს სავალდებულო წესით განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს, ისე მაგისტრანტთა ენობრივ კომპეტენციებს. ასევე წახალისონ მაგისტრანტები შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამაგისტრო კვლევითი პროექტების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;
- კლასტერის აღმოსავლური ენების დაუფლებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკა, კლასიკური ენებისგან განსხვავებით, ისაა, რომ ისინი ცოცხალი აღმოსავლური ენების შესწავლის პრაქტიკულ კომპონენტს უთმობენ კრედიტების სოლიდურ მოცულობას, რაც შესაბამისი უნარ-ჩვევების (ზეპირმეტყველება, აუდირება, კითხვა, წერა) გამომუშავებას ითვალისწინებს სწავლა-სწავლების რელევანტური მეთოდებით, ამიტომაც ამ ენების დასკვნითი გამოცდების მხოლოდ წერითი ფორმით ჩატარება ათვისებული ენობრივი კომპეტენციების შესაფასებლად არ გვეჩვენება

საკმარისი, იმის მიუხედავად, რომ შუალედური შეფასების ფორმები ზეპირ გამოკითხვას მოიცავენ. ვფიქრობთ, სასურველია, ამ კურსებში ჩატარდეს კომბინირებული (წერა ზეპირი) გამოცდა;

- მოქმედი რეგულაციით, დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტმა 60 ქულიანი შუალედური შეფასებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 18 ქულა. დასკვნით გამოცდაზე (რომელიც 40ქულიანია) სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი კი განსაზღვრულია 15 ქულით. ამ წესით, სტუდენტი, რომელიც შუალედურ შეფასებაშიც მინიმალურ დადებით ზღვარს აღწევს და დასკვნით გამოცდაშიც, ამ ქულათა ჯამით (18 + 15), 23 ქულით, დასკვნით გამოცდაზე განმეორებით გასვლის უფლებას მაინც ვერ იღებს. ხომ არ აჯობებდა, შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრების გადალახვა სტუდენტს აძლევდეს იმის საშუალებას, დამოუკიდებელი მუშაობისა და საგნის მასალის მომზადების შემთხვევაში განმეორებით გავიდეს დასკვნით გამოცდაზე, რათა შეფასება რეალურად იყოს განმავითარებელი.
- ინტერვიუებზე გაირკვა, რომ სამაგისტრო ნაშრომები პლაგიატის პრევენციისათვის Turnitin ელექტრონულ პროგრამაში ადმინისტრაციულად იტვირთება და მოწმდება, შემდეგ კი შედეგები ეცნობება ნაშრომის ხელმძღვანელს საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მისაღებად. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომებს Turnitin ელექტრონულ პროგრამაში თავად სტუდენტი ტვირთავდეს და შემდეგ შედეგებს წარუდგენდეს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ეს აამაღლებს მის პერსონალურ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, დადებითად იმოქმედებს ნაშრომის ხარისხზე. ასევე სასურველია, რომ Turnitin ელექტრონულ პროგრამაში მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომები კი არ გატარდეს, არამედ დაინერგოს მისი გამოყენება ცალკეული სასწავლო კურსების შეფასების კონკრეტული ფორმების (ესე, რეფერატი) მომზადებისა და წარმოდგენისასაც;
- სასურველია, უსდ-მ მეტი აქტივობა განახორციელოს სტუდენტთა ინფორმირების მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ;
- სასურველია, მეტი ძალისხმევა იქნას გაღებული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, მათ შორის, ერასმუს + გაცვლით სასწავლო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით;
- ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს სტუდენტური გამოკითხვის ფორმების გამრავალფეროვნებასა და მათში მეტი კონკრეტიკის შეტანას;
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, მაგისტრანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის თანამშრომლობის ხარისხისა და ეფექტურობის ასაამაღლებლად, სასურველია, შემუშავდეს სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელთა შეფასების წესი და გამოკითხვის ფორმა;
- სასურველია, ინსტიტუციამ სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმებით მეტი მოტივაცია გაუჩინოს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, იზრუნონ პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობასა და მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების პუბლიკაციაზე, რაც დადებითად აისახება როგორც საუნივერსიტეტო სამეცნიერო რეიტინგზე, ისე სწავლების ხარისხზე;
- სასურველია, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის დისტანციურ რეჟიმშიც ხელმისაწვდომი იყოს ყველა ის საერთაშორისო სამეცნიერო ბაზა, რომელზე წვდომის უფლებაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს;
- სასურველია, კლასტერის ფარგლებში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულმა აკადემიურმა თუ მოწვეულმა პერსონალმა, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, სასწავლო კურსების განხორციელებისა თუ სამაგისტრო ნაშრომის მზადების ფარგლებში დაგეგმოს იმგვარი თემატური დავალებები/აქტივობები, რომლებშიც სტუდენტებს სავალდებულო წესით

განესაზღვრებათ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენება. ეს აამაღლებს როგორც სტუდენტური ნაშრომების ხარისხს, ისე მათ ენობრივ კომპეტენციებს;

- სასურველია, კოლეგიალური შეფასებები განხორციელდეს კონკრეტული პარტნიორი ინსტიტუციების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით და არა ინდივიდუალურად, რაც უზრუნველყოფს უფრო ობიექტური სურათის წარმოჩენას; ასევე სასურველია ეს მოხდეს პროგრამული პაკეტების განახლების ადრეულ ეტაპზე, რათა ცვლილებების საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს დროული ინტერვენციების განხორციელება;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გამოკითხვის ფორმა, რომლითაც მოხდება მაგისტრანტების მიერ მათი სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების შეფასება; შესაძლებელია ამ მონაცემების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება.
- სასურველია, ყურადღება მიექცეს პროგრამის სილაბუსებში. განსაკუთრებით, საბაკალავროში, უზვად მითითებული უცხოური ლიტერატურის სტუდენტისვის მარტივად ხელმისაწვდომობას (ნაწილი არ იძებნება ბიბლიოტეკაში
- ყაროებია მითითებული). პროგრამის სასწავლო პროცესში უფრო აქტიურად იქნეს გამოყენებული მუდლის პლათფორმა სწავლების ორივე საფეხურზე.

**2. მეორე საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არაბისტიკის" საბაკალავრო, "არაბისტიკის" სამაგისტრო, "ირანისტიკის" საბაკალავრო, "ირანისტიკის" სამაგისტრო, "თურქოლოგიის" საბაკალავრო, "თურქოლოგიის" სამაგისტრო, "შორეული აღმოსავლეთი, იაპონისტიკის" საბაკალავრო, "შორეული აღმოსავლეთი, სინოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხი განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჯანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ და დავით ჩოჩიშვილმა**

**აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ზვიად ცხვედიანიმა განაცხადა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთ მცოდნეობის მიმართულების კლასტერი მოიცავდა რვა საგანმანათლებლო პროგრამას:

1. არაბისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

2. არაბისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
3. ირანისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
4. ირანისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
5. თურქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
6. თურქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
7. შორეული აღმოსავლეთი. იაპონისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
8. შორეული აღმოსავლეთი. სინოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კლასტერის ვიზიტი უნივერსიტეტში განხორციელდა 2022 წლის 20, 21, 22 და 23 დეკემბერს ინტერვიუებისა და გასაუბრების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ზვიად ცხვედიანი, თამარ მოსიაშვილი, თეა შურღია, ლიანა ჭყონია, ელისო ელისაშვილი, ნინო ჭანტურია, თამთა ლეკიშვილი და ნინო ქოთოლაშვილი. მან აღნიშნა, რომ გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციების მიხედვით ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა დასკვნა, რომელიც ითვალისწინებს რეკომენდაციებსა და რჩევებს.

### რეკომენდაციები:

- უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა.
- მნიშვნელოვანია, რომ კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში, სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაიხედოს, დაზუსტდეს და გაიწეროს შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები: ზოგი სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შეფასების კრიტერიუმების ზეპირი და წერიტი შეფასების ნაწილში ქულების დიფერენციაცია და მეტი სიცხადე (1-2-3-4-5 ქულიანი სხვაობის პირობებში შეფასების ერთი სტანდარტის დიფერენცირება: რა შემთხვევაში ფასდება ცოდნა, მაგალითად, 15, 16, 17 და 18 ქულით ან და 5, 6, 7, 8 და 9 ქულით).
- მნიშვნელოვანია, შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ სამეცნიერო ბაზების გაცნობა სტუდენტებისათვის და მათი გამოყენების ინსტრუქციის მიწოდება კვლევითი პროცესების გაუმჯობესების მიზნით;

მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტს დაქვემდებარებულ ბიბლიოთეკებში არის წვდომა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე.

- საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მიღწევის უზრუნველსაყოფად თსუ - ის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს და საერთო ონლაინკატალოგში უნდა იძებნებოდეს სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სავალდებულო წყარო და სხვა სასწავლო მასალა.
- რეკომენდებულია, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავება/იმპლემენტაციის პროცესში, პროგრამების ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით;
- რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლის გაუმჯობესება პროგრამების შეფასება/განვითარების პროცესში;
- სასურველია პროგრამების გარე შეფასებები დარგის ადილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან განხორციელდეს წერილობითი ფორმით, კონკრეტული შეფასების/რეკომენდაციების წარმოდგენის გზით.

- რეკომენდირებულია, იაპონური ენის სასწავლო კურსში მითითებული მთავარი სახელმძღვანელო “მინნა ნო ნიჰონგო 1 - იაპონური ენა ყველას” შეცვლა ახალი, 2021 წლის ლიცენზირებული გამოცემით.
- იაპონური 4,5,6,7-ის პროგრამაში მითითებული წიგნის „მარუგოტო“-ს გამოყენებამდე ტრენინგის დანერგვა ან ლექტორის, მოწვეული ლექტორის სამასწავლებლო კვალიფიკაციის ასამაღლებელი 6 კვირიან პროგრამაზე გაგზავნა ურავას უნივერსიტეტში (აღნიშნული ტრენინგი ფინანსდება იაპონიის ფონდის - Japan Foundation-ის მიერ) რათა ლექტორმა შეისწავლოს ამ წიგნთან ურთიერთობა და გამოყენების წესები
- რეკომენდირებულია, გადაიხედოს იაპონური 6 და იაპონური 7-ის შედეგები/მოლოდინის ნაწილი, რადგან მითითებული დებულებები, რომ სტუდენტები შეძლებენ პროგრამის განმავლობაში ნასწავლი 1108 იეროგლიფით ლექსიკონის გარეშე სტატიების კითხვას და თარგმანს არ შეესაბამება რეალობას.
- იაპონური ენა 5,7-ში უფრო მეტი ყურადღება და დრო დაეთმოს ბიზნეს ურთიერთობებისთვის განკუთვნილი იაპონური ენის „კეიგო“-ს შესწავლას, თუ ამ ნაწილში იქნება მოწვეული იაპონელი ლექტორი, სტუდენტებს უფრო გაუმარტივდებათ შესწავლა.
- იაპონიის ახალი და უახლესი ისტორია - რეკომენდირებულია მასალების განახლება და თანამედროვე ლიტერატურით ჩანაცვლება, ასევე დამხმარე რუსულ ენოვანი წყაროების ინგლისურენოვანი წყაროებით ჩანაცვლება. ასევე იაპონიაში 2000-2021 წლამდე მომხდარი მოვლენების შეტანა სასწავლო პროგრამაში, რომ სტუდენტმა გაიაზროს და გაეცნოს იაპონიაში მიმდინარე პოლიტიკურ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებს.
- რეკომენდირებულია ჩინური ენის სასწავლო კურსების სილაბუსით გაწერილი პროგრამის და მისაღწევი დონეების გადახედვა და შედარებით უფრო რეალისტური შედეგების დასახვა: ჩინური ენის რიგი სილაბუსების გადახედვა (ჩინური 3, 4, 5, 6, 7). კერძოდ, საჭიროა სასწავლო ლიტერატურის, ენის საერთაშორისო სტანდარტის დონის და შესასწავლი იეროგლიფების/ლექსიკური ერთეულების რაოდენობის შესაბამისობაში მოყვანა, რომ რეალისტურად განისაზღვროს და მიღწეულ იქნას ენის კომპეტენციის დასახული შედეგი.
- სამეცნიერო კარიერული წინსვლის თვალსაზრისით სასურველია მეტი ასისტენტ პროფესორის ჩართვა პროგრამებში.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ზვიად ცხვედიანმა განაცხადა, რომ სინოლოგია და იაპონისტიკა არის ახალი პროგრამა. მისი თქმით, დარგებს გააჩნიათ დიდი ხნის ტრადიცია. აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სკოლის შექმნა დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც ცნობილია მსოფლიოში. პროგრამები სრულად შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ განაცხადა, რომ სამეცნიერო ბაზები მოითხოვს გაუმჯობესებას. დაწესებულება ცდილობს, რომ გაზარდოს წყაროთა რაოდენობა შესაბამისი არხებითა და „ელემენტით“, თუმცა არსებობს სხვა შესაძლებლობებიც, რომლებსაც დაწესებულება გაითვალისწინებს და ახლო მომავალში გამოასწორებს. მისი თქმით, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში და კონფერენციებში ჩართულნი არიან როგორც სტუდენტები, ისე აკადემიური პერსონალი. გარდა ამისა, ტარდება ყოველსემესტრული გამოკითხვები, წლიური კმაყოფილების კვლევები და ა.შ. დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს, რომ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ჩართულობა გაიზარდოს ნაციონალურ თუ საერთაშორისო აქტივობებში. მან აღნიშნა, რომ პროგრამები აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს, მაგრამ შესაძლებელია მათი კიდევ უფრო გაუმჯობესება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავამემ განაცხადა, რომ საუნივერსიტეტო რესურსების გაუმჯობესება არის დაწესებულების პოლიტიკა, რომელიც რჩევისა და რეკომენდაციის გარეშე არ არის შესაძლებელი. მისი თქმით, საბიბლიოთეკო რესურსებში ყოველთვის მოიძებნება სასწავლო მასალა, კერძოდ Moodle-ს პლატფორმაზე ატვირთულ ელექტრონულ კურსებში, რომლის კატალოგიზება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში შესაძლებელი არ იყო, მაგრამ დაწესებულება ამას გაითვალისწინებს და ახლო მომავალში გამოასწორებს. მისი თქმით, ახალი პროგრამები როგორც “მაინორ“ პროგრამები 12 წელია, რაც არსებობს. ამ საგანმანათლებლო პროგრამებმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაცია 2011 წელს გაიარა, მაგრამ იყო იმის საშუალება, რომ ეს პროგრამები დამოუკიდებლად წარდგენილიყო. ამ პროგრამების 12 წლიანმა არსებობამ აჩვენა ის, რომ “მაინორ“ პროგრამების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები არიან ისეთ ადგილას დასაქმებულნი, რომ იაპონური, ჩინური ენისა და რეგიონის ცოდნა მოეთხოვებათ. დაწესებულების შრომითი ბაზრის კვლევა კარგად წარმოაჩინეს იმას, რომ პროგრამები არ არის წმინდა ფილოლოგიური, არამედ შეიცავს რეგიონის ისტორიულ-კულტურული ასპექტების შესწავლის ელემენტებსაც, რომლებიც მოთხოვნადია დასასქმების ბაზარზე. დარეჯან გარდავამის თქმით, სინოლოგია-იაპონისტიკაზე ინტერესთა მოთხოვნადობამ გამოიწვია „მაინორ“ პროგრამების „მაიჯორ“ პროგრამებად გარდაქმნა. ფაკულტეტზე იაპონისტიკის ცენტრი იაპონიის საელჩოსთან მჭიდროდ თანამშრომლობს. მათი მხარდაჭერითა და მოწოდებული ლიტერატურით აღჭურვილია ბიბლიოთეკა. მისი თქმით, ექსპერტებს უწერიათ შემდეგი რამ: „იაპონიის განათლების სამინისტროს აქვს შექმნილი ე.წ. “ჯოიო იეროგლიფების ნუსხა”, რომელიც 2010 წელს განახლდა და სიაში ამჟამად შედის 2,136 იეროგლიფი, ხოლო სასწავლო პროცესში ისწავლება 1108 იეროგლიფი, რომელიც სტუდენტს შედეგზე ვერ გაიყვანს.“ მან აღნიშნა, რომ იაპონურს უძღვება ენების ცენტრის კვალიფიციური მასწავლებელი, რომელსაც განათლება მიღებული აქვს იაპონიაში. გარდა ამისა, დღეს იაპონური ლიტერატურა, რომელიც ითარგმნება მისი ნათარგმნია. იეროგლიფების საერთო რაოდენობის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ საბაკალავრო „მაიჯორ“ პროგრამის კურსდამთავრებული იმ იეროგლიფების სრულ ბაზას უნდა ფლობდეს. პროგრამაში “Native Spiker”-ს წარმოადგენს იასუჰირო კოჯიმა, რომელიც არის კვალიფიციური აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თათია მემარნიშვილმა განაცხადა, რომ წიგნი “მარუგოტო“-ს გამოყენებამდე ტრენინგი გაიარა იაპონიაში და ახლა უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. მისი აზრით, გაუგებარია ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაციის გაცემა. მისი თქმით, 2,136 იეროგლიფი იაპონიაში 12 წლის განმავლობაში ისწავლება სკოლაში და შეუძლებელია 4 წლის განმავლობაში არაფილოლოგიურ კურსზე მათი დაუფლება. 1108 იეროგლიფი საკმარისზე მეტია იმისათვის, რომ წაიკითხო სტატიები და წიგნები. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებთან გასაუბრების დროს წარადგინა ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რომელიც ექსპერტებმაც დაადასტურეს. “ბიზნეს-იაპონურის“ სწავლა ცალკე საგნად მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამაზე, ხოლო „კეიგო“ პირველი სემესტრიდან დაწყებული მეშვიდე სემესტრით დამთავრებული ისწავლება იაპონურ ენაზე და ცალკე საგნად გამოყოფას არ საჭიროებს.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს 1108 იეროგლიფით გადის თუ არა სტუდენტი სწავლის შედეგზე.

ექსპერტმა, ნინო ჭანტურიამ დაადასტურა, რომ მის დასკვნაში მოცემულია სერტიფიკატის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ ის, რომ ურავას სასწავლო დაწესებულებაში თათია

მერმანიშვილს გავლილი და მიღებული აქვს სერტიფიკატი. მან აღნიშნა, რომ იაპონიის განათლების სამინისტროს აქვს შედგენილი სია, რომელსაც ეწოდება „ჯოიო იეროგლიფების სია“. სიაში აღნიშნულია ის, რომ ადამიანმა - იაპონელია თუ უცხოელი, რომ შეძლოს ჟურნალის წაკითხვა და იშვიათად გამოიყენოს ელექტრონული ლექსიკონი საჭიროა, რომ იცოდეს 2,300-ზე მეტი იეროგლიფი. ის მიზანი, რომელიც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამით, კერძოდ, „კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტი შეძლებს ლექსიკონის გარეშე სტატიების წაკითხვას და გააზრებას“ არის მიუღწეველი იმიტომ, რომ მთელი კურსის განმავლობაში სტუდენტები სწავლობენ იეროგლიფების ნახევარს და ამ რაოდენობით ვერ შეძლებენ ლექსიკონის გარეშე სტატიების წაკითხვას.

ექსპერტმა, ელისო ელისაშვილმა სინოლოგიასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სინოლოგია და იაპონისტიკა არის საჭირო და მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლებსაც ხელი უნდა შევეწყოთ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ჩინური ენის შემთხვევაში დასახულია HSK 6-ის მიღწევის მიზანი. ჩინური ენის იეროგლიფების ის რაოდენობა და ლექსიკური მარაგი, რაც მიზნად დასახულია სილაბუსების მიხედვით საჭიროებს ცვლილებებს. მისი თქმით, ჩინური ენა 5, 6, 7-ის სილაბუსები საჭიროებს კორექტირებას. იაპონისტიკის მიმართულების ექსპერტმა, ნინო ჭანტურიამ განაცხადა, რომ იაპონისტიკის პროგრამა კარგად არის შექმნილი და ნამუშევარი, თუმცა ძირითადი პრობლემა ისახება იაპონურ პროგრამა 6 და 7-ში, რადგან მათში მოცემულია გაუთვალისწინებელი პრობლემები, კერძოდ „ბიზნეს-იაპონური“ არ არის გათვალისწინებული და იეროგლიფების რაოდენობა არ ემთხვევა შედეგობრივ მოლოდინს. მის თქმით, ლექტორებს აქვთ შესაძლებლობა, რომ გაემგზავრონ იაპონიაში და 6 კვირიან პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა. ვისაც აქვს გავლილი პროგრამა ურავას უნივერსიტეტში შეუძლია გადაამზადოს ადგილობრივად როგორც მოწვეული, ისე ადგილობრივი ლექტორი, რათა შეძლოს „მარუგოტო“-ს წიგნის გამოყენება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა გოგუაძემ აღნიშნა, რომ ჩინური ენა 5,6,7-ის სილაბუსები შეადგინა ერთ-ერთმა პროფესორმა, რომელსაც მოუწია უნივერსიტეტიდან წასვლა. მან არასწორად შეუსაბამა საერთაშორისო გამოცდის დონეები და გამოიწვია არეულობა სილაბუსებში. მან აღნიშნა, რომ მუშაობს „კონფუცის უნივერსიტეტში“, რომელიც ატარებს საერთაშორისო გამოცდებს. გარდა ამისა, არის დამკვირვებელი და უძღვება კურსს. ასევე, საერთაშორისო სტანდარტებს იცნობს და იცის შესაბამისობა იეროგლიფების.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდევაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს რეკომენდაციას და ითვალისწინებს იაპონიის განათლების სამინისტროს მიერ მიღებულ ე.წ. „ჯოიო იეროგლიფების ნუსხას“, მაგრამ ეს არის მიღებული იაპონელებისთვის. მისი თქმით, დაწესებულების მიზანი ვერ იქნება იეროგლიფების მთლიანად ათვისება, არამედ მიზანი არის ის, რომ სტუდენტმა აითვისოს იეროგლიფების ის რაოდენობა, რომელიც უნივერსიტეტს სწავლის დასახულ შედეგზე გაიყვანს. ლექსიკონის გარეშე შესაძლებელია სახელმძღვანელოების და შედარებით გამარტივებული ვარიანტის წაკითხვა, თუმცა შესაძლებელია რეკომენდაციის დაკორექტირება, კერძოდ, წინადადება „ლექსიკონის გარეშე“ შეიცვალოს „ლექსიკონის დახმარებით“.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჯანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებასა და ექსპერტთა ჯგუფს. თურქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე რამდენად ივითარებს სტუდენტი პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და იმაღლებს ენობრივ კომპეტენციებს C1 დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ელისაბედ ბჟალავამ უპასუხა, რომ საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი გადის B2 დონეზე, მაგრამ C1 დონის მიღწევაც შესაძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამაზე ლექციების 50% იკითხება თურქულად.

რამდენად აღწევს სტუდენტი C1 დონეს დამოკიდებულია მომავალზე იმიტომ, რომ პროგრამა არის ახალი და ახლა იწყებს არსებობას.

თურქულოლოგიის ექსპერტმა, ლია ჭყონიამ აღნიშნა, რომ სტუდენტი საბაკალავრო პროგრამას ასრულებს B2 დონეზე, მაგრამ არსად არ ჩანს რომელ დონეზე გადის რეალურად სტუდენტი სამაგისტრო პროგრამას. მისი თქმით, როდესაც თურქულ ენაზე იკითხება კურსები, აუცილებელია C1 დონის ცოდნა იმიტომ, რომ სტუდენტი ვერ შეძლებს B2 დონით კურსების გავლას. მან აღნიშნა, რომ ეს არის რჩევა, რომელიც სტუდენტს შესთავაზებს პრაქტიკულ კურს და აიყვანს C1 დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დარეჯან გარდავაძემ განაცხადა, რომ თურქულენოვანი არჩევითი კურსები აქვს პროგრამას და ამ კურსებზე მოხვდებიან ის სტუდენტები, რომლებსაც ენობრივი ენის დაძლევის საშუალება გააჩნიათ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომელ პროგრამებში იყო 1-ელი და მე-2 რეკომენდაციის გაცემის წინაპირობა და რამდენი რაოდენობის ლიტერატურა ვერ იქნა აღმოჩენილი ვიზიტის დროს.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ზვიად ცხვედიანმა უპასუხა, რომ არ მომხდარა დათვლა ლიტერატურებისა ციფრობრივად, მაგრამ იყო რამდენიმე შემთხვევა სილაბუსებში მითითებული ლიტერატურისა, რომელიც არ იყო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, კერძოდ, თურქოლოგიის, სინოლოგიისა და იაპონისტიკის საბაკალავრო პროგრამებში. მან აღნიშნა, რომ იმ კორპუსში, რომელშიაც აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებების ბიბლიოთეკა მდებარეობს, მასში ყველა ეს ლიტერატურა მოიძებნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თათია მემარნიშვილმა აღნიშნა, რომ იაპონურ ენაზე ბიბლიოთეკაში არის ყველა წიგნი. გარდა ამისა, ელექტრონული სახით ატვირთულია „Moodle-ს“ პლატფორმაზე. მისი თქმით, ლიტერატურა არის მხოლოდ ახალი წიგნებით ჩასანაცვლებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ორი ბიბლიოთეკა, კერძოდ, „უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა“ და „უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა“. გარდა ამისა, „დიეიდის“ და „აუფვის“ მხარდაჭერით უნივერსიტეტის იმ კორპუსებში განთავსებულია ბიბლიოთეკები, სადაც ხორციელდება სწავლება. ლიტერატურის ხელმისაწვდომობა არის სრულად უზრუნველყოფილი.

ექსპერტმა, თამარ მოსიაშვილმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ბიბლიოთეკაში ყოფნის დროს თანამაშრომელმა გააკეთა კომენტარი, რომ ის წიგნები, რომლებიც ისეთი ანბანით არის დაწერილი, რომლის შეტანა კატალოგიში შეუძლებელია, ცალკე აღნუსხავენ და შემდეგ ერთობლივად შეიყვანენ ცენტრალურ კატალოგში. ეს იყო მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იძებნებოდა ცენტრალურ კატალოგში წიგნები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 13:48**

**დასრულების დრო: 14:18**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არაბისტიკის" საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არაბისტიკის" საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამა მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

### **რეკომენდაციები:**

- უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა;
- მნიშვნელოვანია, რომ კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში (ბაკალავრიატი - არაბული ენა 1, არაბული ენა 2, არაბული ენა 3, არაბული ენა 4, ოსმალური ენა, შუა საუკუნეებისა და ახალი თურქული ლიტერატურის ისტორია, თურქეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); მაგისტრატურა - თურქების ყოფითი კულტურა, თურქული არეალისტიკა და დიალექტოლოგია, არაბული დიალექტოლოგია და ეგვიპტური დიალექტი, არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა, არაბული ენის თეორიული გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი (შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული კვლევის ტრადიცია და თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები), თანამედროვე ირანის პოპკულტურა, შარიათი (ისტორია, დოგმატიკა, სამართალი) და სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაიხედოს, დაზუსტდეს და გაიწეროს შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები: ზოგი სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შეფასების კრიტერიუმების ზეპირი და წერიტი შეფასების ნაწილში ქულების დიფერენციაცია და მეტი სიცხადე (1, 2, 3, 4 და 5 ქულიანი სხვაობის პირობებში შეფასების ერთი სტანდარტის დიფერენცირება: რა შემთხვევაში ფასდება ცოდნა, მაგალითად, 15, 16, 17 და 18 ქულით ან და 5, 6, 7, 8 და 9 ქულით);
- რეკომენდებულია, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავება/იმპლემენტაციის პროცესში, პროგრამების ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით;

- რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლის გაუმჯობესება პროგრამების შეფასება/განვითარების პროცესში.

### **რჩევები:**

- სასურველია, განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით;
- სასურველია, გაუმჯობესდეს აკადემიური წერის მიმართულებით კონსულტაციები. კერძოდ, ნაშრომებში წყაროებისა და ბიბლიოგრაფიის მითითების წესის შესახებ;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დროს სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს გამოყენებული წყაროების მითითების სტანდარტების შესახებ;
- სასურველია, სტუდენტთა შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით ბიუჯეტში გაიზარდოს შესაბამისი ხარჯი;
- სასურველია პროგრამების გარე შეფასებები დარგის ადილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან განხორციელდეს წერილობითი ფორმით, კონკრეტული შეფასების/რეკომენდაციების წარმოდგენის გზით.

### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არაბისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არაბისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

დაწესებულებას განესაზღვრა განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

### **რეკომენდაციები:**

- უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა;
- მნიშვნელოვანია, რომ კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში (ბაკალავრიატი - არაბული ენა 1, არაბული ენა 2, არაბული ენა 3, არაბული ენა 4, ოსმალური ენა, შუა საუკუნეებისა და

ახალი თურქული ლიტერატურის ისტორია, თურქეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); მაგისტრატურა - თურქების ყოფითი კულტურა, თურქული არეალისტიკა და დიალექტოლოგია, არაბული დიალექტოლოგია და ეგვიპტური დიალექტი, არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა, არაბული ენის თეორიული გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი (შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული კვლევის ტრადიცია და თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები), თანამედროვე ირანის პოპულტურა, შარიათი (ისტორია, დოგმატიკა, სამართალი) და სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაიხედოს, დაზუსტდეს და გაიწეროს შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები: ზოგი სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შეფასების კრიტერიუმების ზეპირი და წერიტი შეფასების ნაწილში ქულების დიფერენციაცია და მეტი სიცხადე (1, 2, 3, 4 და 5 ქულიანი სხვაობის პირობებში შეფასების ერთი სტანდარტის დიფერენცირება: რა შემთხვევაში ფასდება ცოდნა, მაგალითად, 15, 16, 17 და 18 ქულით ან და 5, 6, 7, 8 და 9 ქულით);

- რეკომენდებულია, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავება/იმპლემენტაციის პროცესში, პროგრამების ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით;
- რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლის გაუმჯობესება პროგრამების შეფასება/განვითარების პროცესში.

### **რჩევები:**

- სასურველია, განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით;
- სასურველია, გაუმჯობესდეს აკადემიური წერის მიმართულებით კონსულტაციები. კერძოდ, ნაშრომებში წყაროებისა და ბიბლიოგრაფიის მითითების წესის შესახებ;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დროს სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს გამოყენებული წყაროების მითითების სტანდარტების შესახებ;
- სასურველია, სტუდენტთა შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით ბიუჯეტში გაიზარდოს შესაბამისი ხარჯი;
- სასურველია პროგრამების გარე შეფასებები დარგის ადილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან განხორციელდეს წერილობითი ფორმით, კონკრეტული შეფასების/რეკომენდაციების წარმოდგენის გზით.

### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ირანისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ირანისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

### რეკომენდაციები:

- უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა;
- მნიშვნელოვანია, რომ კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში (ბაკალავრიატი - არაბული ენა 1, არაბული ენა 2, არაბული ენა 3, არაბული ენა 4, ოსმალური ენა, შუა საუკუნეებისა და ახალი თურქული ლიტერატურის ისტორია, თურქეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); მაგისტრატურა - თურქების ყოფითი კულტურა, თურქული არეალისტიკა და დიალექტოლოგია, არაბული დიალექტოლოგია და ეგვიპტური დიალექტი, არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა, არაბული ენის თეორიული გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი (შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული კვლევის ტრადიცია და თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები), თანამედროვე ირანის პოპულტურა, შარიათი (ისტორია, დოგმატიკა, სამართალი) და სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაიხედოს, დაზუსტდეს და გაიწეროს შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები: ზოგი სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შეფასების კრიტერიუმების ზეპირი და წერიტი შეფასების ნაწილში ქულების დიფერენციაცია და მეტი სიცხადე (1, 2, 3, 4 და 5 ქულიანი სხვაობის პირობებში შეფასების ერთი სტანდარტის დიფერენცირება: რა შემთხვევაში ფასდება ცოდნა, მაგალითად, 15, 16, 17 და 18 ქულით ან და 5, 6, 7, 8 და 9 ქულით);
- რეკომენდებულია, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავება/იმპლემენტაციის პროცესში, პროგრამების ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით;
- რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლის გაუმჯობესება პროგრამების შეფასება/განვითარების პროცესში.

### რჩევები:

- სასურველია, განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით;
- სასურველია, გაუმჯობესდეს აკადემიური წერის მიმართულებით კონსულტაციები. კერძოდ, ნაშრომებში წყაროებისა და ბიბლიოგრაფიის მითითების წესის შესახებ;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დროს სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს გამოყენებული წყაროების მითითების სტანდარტების შესახებ;
- სასურველია, სტუდენტთა შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით ბიუჯეტში გაიზარდოს შესაბამისი ხარჯი;
- სასურველია პროგრამების გარე შეფასებები დარგის ადილობრივი/საერთაშორისო ექპერტების მხრიდან განხორციელდეს წერილობითი ფორმით, კონკრეტული შეფასების/რეკომენდაციების წარმოდგენის გზით.

## საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ირანისტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

## კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

## გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ირანისტიკის" სამაგისტრო, საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

## რეკომენდაციები:

- უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა;
- მნიშვნელოვანია, რომ კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში (ბაკალავრიატი - არაბული ენა 1, არაბული ენა 2, არაბული ენა 3, არაბული ენა 4, ოსმალური ენა, შუა საუკუნეებისა და ახალი თურქული ლიტერატურის ისტორია, თურქეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); მაგისტრატურა - თურქების ყოფითი კულტურა, თურქული არეალისტიკა და დიალექტოლოგია, არაბული დიალექტოლოგია და ეგვიპტური დიალექტი, არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა, არაბული ენის თეორიული გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი (შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული კვლევის ტრადიცია და თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები), თანამედროვე ირანის პოპკულტურა, შარიათი (ისტორია, დოგმატიკა, სამართალი) და სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაიხედოს, დაზუსტდეს და გაიწეროს შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები: ზოგი სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შეფასების კრიტერიუმების ზეპირი და წერიტი შეფასების ნაწილში ქულების დიფერენციაცია და მეტი სიცხადე (1, 2, 3, 4 და 5 ქულიანი სხვაობის პირობებში შეფასების ერთი სტანდარტის დიფერენცირება: რა შემთხვევაში ფასდება ცოდნა, მაგალითად, 15, 16, 17 და 18 ქულით ან და 5, 6, 7, 8 და 9 ქულით);
- რეკომენდებულია, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავება/იმპლემენტაციის

პროცესში, პროგრამების ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით;

- რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლის გაუმჯობესება პროგრამების შეფასება/განვითარების პროცესში.

#### **რჩევები:**

- სასურველია, განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით;
- სასურველია, გაუმჯობესდეს აკადემიური წერის მიმართულებით კონსულტაციები. კერძოდ, ნაშრომებში წყაროებისა და ბიბლიოგრაფიის მითითების წესის შესახებ;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დროს სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს გამოყენებული წყაროების მითითების სტანდარტების შესახებ;
- სასურველია, სტუდენტთა შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის წახალისების მიზნით ბიუჯეტში გაიზარდოს შესაბამისი ხარჯი;
- სასურველია პროგრამების გარე შეფასებები დარგის ადილობრივი/საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან განხორციელდეს წერილობითი ფორმით, კონკრეტული შეფასების/რეკომენდაციების წარმოდგენის გზით.

#### **საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "თურქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

#### **რეკომენდაციები:**

- 4.1 თურქოლოგიის პროგრამის კურსებისთვის ლექტორის/კურსის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი „რიდერები“ განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში;

- 4.2 უსდ-ს ბიბლიოთეკაში განთავსდეს თურქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურა;
- 4.3 მნიშვნელოვანია, რომ კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების რიგ სასწავლო კურსების სილაბუსებში (ბაკალავრიატი - არაბული ენა 1, არაბული ენა 2, არაბული ენა 3, არაბული ენა 4, ოსმალური ენა, შუა საუკუნეებისა და ახალი თურქული ლიტერატურის ისტორია, თურქეთის ისტორია (ახალი და უახლესი პერიოდი); მაგისტრატურა - თურქების ყოფითი კულტურა, თურქული არეალისტიკა და დიალექტოლოგია, არაბული დიალექტოლოგია და ეგვიპტური დიალექტი, არაბული პრესის და პოლიტიკური ტექსტების ენა, არაბული ენის თეორიული გრამატიკა - მორფოლოგია, სინტაქსი (შუა საუკუნეების არაბული ენათმეცნიერული კვლევის ტრადიცია და თანამედროვე ლინგვისტური კონცეფციები), თანამედროვე ირანის პოპკულტურა, შარიათი (ისტორია, დოგმატიკა, სამართალი) და სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის აუცილებლობიდან გამომდინარე, გადაიხედოს, დაზუსტდეს და გაიწეროს შეფასების მეთოდების დეტალური კრიტერიუმები: ზოგი სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლის შეფასების კრიტერიუმების ზეპირი და წერიტი შეფასების ნაწილში
- ქულების დიფერენციაცია და მეტი სიცხადე (1, 2, 3, 4 და 5 ქულიანი სხვაობის პირობებში შეფასების ერთი სტანდარტის დიფერენცირება: რა შემთხვევაში ფასდება ცოდნა, მაგალითად, 15, 16, 17 და 18 ქულით ან და 5, 6, 7, 8 და 9 ქულით);
- 4.4 რეკომენდებულია, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავება/იმპლემენტაციის პროცესში, პროგრამების ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით;
- 4.5 რეკომენდებულია, სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლის გაუმჯობესება პროგრამების შეფასება/განვითარების პროცესში.

#### **რჩევები:**

- სასურველია, განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი უახლესი ქართული და უცხოურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით;
- სასურველია, გაუმჯობესდეს აკადემიური წერის მიმართულებით კონსულტაციები. კერძოდ, ნაშრომებში წყაროებისა და ბიბლიოგრაფიის მითითების წესის შესახებ;
- სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების მომზადების დროს სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიეწოდოს გამოყენებული წყაროების მითითების სტანდარტების შესახებ;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში აქტიური ჩართულობა. აღნიშნული საკითხი, ამ ეტაპზე არ ვრცელდება რუსული ფილოლოგიის პროგრამაზე, რადგან პროგრამა ახალია.
- სილაბუსებში საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა განისაზღვროს კურსის შინაარსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით

- სილაბუსებში მიეთითოს კურსის შინაარსში დასახელებული სასემინარო მხატვრული ლიტერატურა
- რეკომენდებულია კურსების წინაპირობების განსაზღვრა კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე
- რეკომენდებულია, აკადემიური წერის სილაბუსის გადახედვა და გაუმჯობესება ფილოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო ბაზების გამოყენებისა და აკადემიური სტილის შესწავლის თვალსაზრისით
- რეკომენდებულია, გადაიხედოს შეფასების კომპონენტები და შესაბამისი რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსის სასწავლო შედეგებზე გასვლა და სტუდენტს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია მოსალოდნელი შეფასების, დავალების სახეობების შესახებ.
- კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამის შემთხვევაში აუცილებელია სწავლებისა და შეფასების პროცესის ტექნიკური რესურსით სრულად უზრუნველყოფა.
- რეკომენდებულია, პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფმა განახორციელოს პროგრამის როგორც შინაარსობრივი ასპექტების, ასევე პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი (მაგ., მატერიალურ-ტექნიკური) რესურსების საკმარისობის შესწავლა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოახდინოს პროგრამის შემაჯამებელი შეფასება

## ჩვენები:

- სასურველია განხორციელდეს კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის საქართველოს უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების სრულყოფილი ანალიზის წარმოდგენა;
- მიზანშეწონილია სტუდენტების განაწილება მოხდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით უცხოურ ენაში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს სწავლა დაიწყოს იმ დონიდან, რომელიც შესაბამისი იქნება მის ენობრივ კომპეტენციასთან;
- კურიკულუმს დაემატოს დარგობრივი გერმანული ენის კურსი/ები (იურიდიული გერმანული, ბიზნესგერმანული), რაც დასაქმების ბაზარზე გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობას გაზრდის;
- სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა, სემესტრის დასაწყისში და/ან საჭირო პერიოდულობით, სათანადო დრო დაუთმოს სილაბუსის სტუდენტებისთვის გაცნობას, როდესაც მიაწოდებს მათ ამომწურავ ინფორმაციას სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით;
- გერმანული ენის პრაქტიკულ კურსებში დაემატოს დამოუკიდებელი საშინაო წერითი დავალებების შეფასების კომპონენტი, რომელიც გააუმჯობესებს, ერთი მხრივ, სტუდენტის წერით უნარებს და ლექტორს საშუალებას მისცემს, ინტენსიურად დააკვირდეს სწავლის პროცესში წერითი კომპეტენციის განვითარების ეტაპებსა და გამოწვევებს, მეორე მხრივ, სტუდენტს გამოუმუშავეს სალექციო-სასემინარო პროცესში მიღებული ცოდნის დამოუკიდებლად პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას;
- სასურველია ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის პროგრამების ხელმძღვანელებმა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, ხელი შეუწყოს პროგრამების სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მეტ ჩართულობას (ან უნივერსიტეტის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა). საჭიროა ჩატარდეს ანალიზი შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ და დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მიზანშეწონილია რუსული ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული იყოს იგივე პრაქტიკა;
- სასურველია, სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდოთ ინფორმაცია მათთვის განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ, მათ შორის, სილაბუსის ფარგლებში.

- სასურველია, პროგრამაზე ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში, რათა ეცნობოდეს ინტენსიურად დარგში არსებულ ახალ/აქტუალურ ცოდნას, რაც უზრუნველყოფს კვლევითი (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ნაშრომების ხარისხს.
- სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს მაქსიმალურად გამოიყენონ ელექტრონული ბაზები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის. მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი იქნება, თუკი უნივერსიტეტი აწარმოებს ელექტრონულ ბაზებზე წვდობის სტატისტიკას.
- მიზანშეწონილია, გარე ექსპერტების (უსდ-ების წარმომადგენლების/სხვ.) მიერ პროგრამის შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ პროგრამის შემუშავების/მოდიფიცირების ეტაპზე, არამედ ასევე ამ პროცესის დასრულების შემდგომაც, რაც ხელს შეუწყობს მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენა დადასტურებას.
- მიზანშეწონილია, „გერმანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ საქართველოს, არამედ უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ რაც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების შესაძლებლობას.

#### **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის", საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

#### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "რუსული ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

#### **დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

#### **ეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, აკადემიური წერის სილაბუსის გადახედვა და გაუმჯობესება ფილოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო ბაზების გამოყენებისა და აკადემიური სტილის შესწავლის თვალსაზრისით
- რეკომენდებულია, გადაიხედოს შეფასების კომპონენტები და შესაბამისი რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს კურსის სასწავლო შედეგებზე გასვლა და სტუდენტს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია მოსალოდნელი შეფასების, დავალების სახეობების შესახებ.
- კლასტერში გაერთიანებული ყველა პროგრამის შემთხვევაში აუცილებელია სწავლებისა და შეფასების პროცესის ტექნიკური რესურსით სრულად უზრუნველყოფა.
- რეკომენდებულია, პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფმა განახორციელოს პროგრამის როგორც შინაარსობრივი ასპექტების, ასევე პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი (მაგ., მატერიალურ-ტექნიკური) რესურსების საკმარისობის შესწავლა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოახდინოს პროგრამის შემაჯამებელი შეფასება;

## რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტს/დეპარტამენტს გაფორმებული ჰქონდეს მემორანდუმები დასაქმების რელევანტური სფეროების წარმომადგენლებთან, მათ შორის, ენათა ცენტრთან, კერძო თუ საჯარო სკოლასთან, სადაც განსაზღვრული იქნება თანამშრომლობის მიზანი, შედეგები, ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.
- სასურველია, განხორციელდეს კლასტერში დაჯგუფებული ყველა პროგრამის საქართველოს უსდ-ების ანალოგიურ პროგრამებთან დადარების სრულყოფილი ანალიზის წარმოდგება
- მიზანშეწონილია, სტუდენტების განაწილება მოხდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით უცხოურ ენაში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს სწავლა დაიწყოს იმ დონიდან, რომელიც შესაბამისი იქნება მის ენობრივ კომპეტენციასთან.
- სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა, სემესტრის დასაწყისში და/ან საჭირო პერიოდულობით, სათანადო დრო დაუთმოს სილაბუსის სტუდენტებისთვის გაცნობას, როდესაც მიაწოდებს მათ ამომწურავ ინფორმაციას სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით;
- სასურველია, ინგლისური ფილოლოგიის და გერმანული ფილოლოგიის პროგრამების ხელმძღვანელებმა, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერით, ხელი შეუწყოს პროგრამების სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მეტ ჩართულობას (ან უნივერსიტეტის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა). საჭიროა ჩატარდეს ანალიზი შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ და დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები გამოვლენილი ნაკლოვანებების დასაძლევად. მიზანშეწონილია რუსული ფილოლოგიის პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული იყოს იგივე პრაქტიკა.
- სასურველია, სტუდენტებს რეგულარულად მიეწოდოთ ინფორმაცია მათთვის განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ, მათ შორის, სილაბუსის ფარგლებში.
- სასურველია, პროგრამაზე ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში, რათა ეცნობოდეს ინტენსიურად დარგში არსებულ ახალ/აქტუალურ ცოდნას, რაც უზრუნველყოფს კვლევითი (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) ნაშრომების ხარისხს.

- სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს აკადემიურ პერსონალს მაქსიმალურად გამოიყენონ ელექტრონული ბაზები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის. მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი იქნება, თუკი უნივერსიტეტი აწარმოებს ელექტრონულ ბაზებზე წვდომის სტატისტიკას.
- მიზანშეწონილია, გარე ექსპერტების (უსდ-ების წარმომადგენლების/სხვ.) მიერ პროგრამის შეფასება განხორციელდეს არამხოლოდ პროგრამის შემუშავების/მოდულიციების ეტაპზე, არამედ ასევე ამ პროცესის დასრულების შემდგომაც, რაც ხელს შეუწყობს მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენა დადასტურებას.

**5. მეხუთე საკითხი:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" და "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა მკაცრად**

**აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბონდო კუპატაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 12-13 დეკემბერს. ვიზიტამდე 2 დღით ადრე შედგა ექსპერტთა წინასწარი შეხვედრა ონლაინ. შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს სააკრედიტაციო კლასტერული პროგრამის შესახებ წინასწარი მიგნებები და შეხედულებები, მომზადდა ჯგუფური ინტერნეტ-სასაუბრო, სადაც განთავსდა კითხვები და თვალსაზრისები. ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამების ხელმძღვანელებს. დაათვალიერეს უნივერსიტეტის სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და სტაჟირების განმახორციელებლებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. ინტერვიუერთა ნაწილი საზღვარგარეთ ყოფნის გამო,

შეხვედრაზე ერთვებოდა ონლაინ. მისი თქმით, მთლიანობაში ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და კოლეგიალურ ატმოსფეროში. ბონდო კუპატაძემ მოკლე მიმოხილვა გააკეთა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, კერძოდ:

- სტანდარტი 1** - პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან  
პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
- სტანდარტი 2** - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან  
პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან
- სტანდარტი 3** - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან  
პროგრამა 2 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან
- სტანდარტი 4** - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან  
პროგრამა 2 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან
- სტანდარტი 5** - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან  
პროგრამა 2 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

ექსპერტმა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბონდო კუპატაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა 3 რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა საბაკალავრო ნაშრომის შეფასების საკითხს, კერძოდ, “ისტორიისა” და „არქეოლოგიის“ პროგრამებში მაღალი იყო საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის კომპონენტი. შესაბამისად, საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტში უნდა გაუქმდეს ხელმძღვანელის შეფასება ან შემცირდეს 10 %-მდე. გარდა ამისა, სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდებოდეს კომისიის მიერ და რეცენზენტის ჩართულობაც იყოს გათვალისწინებული, რათა თავიდან იქნას აცილებული ნაშრომის სუბიექტურად შეფასება.

მეორე რეკომენდაციის მიხედვით, დასკვნით გამოცდაში გარდა წერილობითისა დაშვებულია ზეპირი გამოცდა, თუმცა, ზეპირი გამოცდის ფორმა არ არის ახსნილი. თუ სტუდენტს ექნება აპელაციის სურვილი, ის დოკუმენტურად ვერ მოახერხებს გასაჩივრებას. ეს უქმნის პრობლემას სტუდენტს და შეფასების ობიექტურობას აყენებს ეჭვქვეშ. შესაბამისად, დასკვნითი გამოცდის ფორმატი უნდა განისაზღვროს მხოლოდ წერილობითი სახით. ზეპირი გამოცდის ელემენტი შესაძლებელია განისაზღვროს შუალედური შეფასების კომპონენტში.

რაც შეეხება მესამე რეკომენდაციას, რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეკომენდაციები გაცემულია ცალკეული პროგრამების მიხედვითაც, “ისტორიის“ პროგრამასთან დაკავშირებით რეკომენდაციები ეხებოდა სასწავლო კურიკულუმს. რეკომენდებულია, ისტორიის საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატოს „კავკასიის ხალხთა ისტორია“. ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი გახდა „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიის“ არსებობა პროგრამაში. გარდა ამისა, რეკომენდებულია, ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსის „ახლო აღმოსავლეთის შუასაუკუნეების ისტორიის“ დამატებაც, ვინაიდან პროგრამაში გათვალისწინებულია კურსები, კერძოდ “მკ. აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია“ „ახალი და უახლესი ისტორია“, რომლებიც სავალდებულო სახის კურსებია, თუმცა „ახლო აღმოსავლეთის შუასაუკუნეების ისტორია“ რჩება პროგრამის გარეთ. შესაბამისად, აუცილებელია ისტორიათა ქრონოლოგიური დაცვა. ასევე, რეკომენდებულია, კრედიტების შიდა განაწილების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, 4-სემესტრიანი „ევროპა-ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია“ გახდეს 2-სემესტრიანი იმიტომ, რომ ეს კურსი არის 20 კრედიტიანი და ეთმობა 3 სემესტრი. შესაბამისად, მიზანშეწონილია რომ შემცირდეს კურსის კრედიტების რაოდენობა. გარდა ამისა, რეკომენდებულია, ისტორიის მაინორ პროგრამას ისტორიის ძირითადი პროგრამიდან დაემატოს სასწავლო კურსი - „საქართველოს ისტორია XIX – XXI საუკუნის დამდეგი“. მისი



თქმით, ეს პროგრამა უნდა იყოს მაინორ პროგრამაში იმიტომ, რომ მაინორ პროგრამა აწყობილია ქრონოლოგიური პრინციპით. არის ორი მოდული, კერძოდ, „საქართველო“ და „მსოფლიო“. ამ ორ მოდულში წარმოდგენილი კურსები არის „ძვ. ისტორია“, „შუა საუკუნეების ისტორია“ „ახალი ისტორია“ და ა.შ. მაგრამ მასში არ არის წარმოდგენილი „საქართველოს ისტორია XIX – XXI საუკუნის დამდეგი“. შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ეს რეკომენდაცია და დაიცვას ისტორიათა ქრონოლოგიური პრინციპი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ბონდო კუპატამემ განაცხადა, რომ "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაიცა 13 რეკომენდაცია. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკასა და სწავლის შედეგების შეფასებას. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე საგნის ლოგიკურ თანმიმდევრობას, კერძოდ, "საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე" მეორე სემესტრიდან გადავიდეს მესამე სემესტრში, ხოლო მესამე სემესტრიდან მეორე სემესტრში გადმოინაცვლოს "არქეოლოგიის საფუძვლების" კურსმა. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სალექციო კურსების გადანაცვლებას კურიკულუმში, კერძოდ ჯერ წაკითხულ იქნეს "ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია", ხოლო შემდეგ "საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები", რათა ქრონოლოგიური გადასვლა და ბმა იყოს ამ ორ სასწავლო კურსს შორის. რეკომენდებულია გადაიხედოს „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპების“ სწავლის შედეგები. გარდა ამისა, რეკომენდებულია გადაიხედოს და ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდეს სალექციო კურსის „საქართველოს არქეოლოგია (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“ კურსის სახელწოდება, მისაღწევი შედეგები და სასწავლო კურსის შინაარსი. მისი თქმით, მეექვსე რეკომენდაცია ეხებოდა არქეოლოგიის შესავალს. დასაკორექტირებელია მისი მიზნები და შედეგები ან სილაბუსის კურსში უნდა ჩაიშალოს ის საკითხები, რაც მიზნებსა და შედეგებშია მოცემული. ასევე, სასწავლო სილაბუსებში ჩაემატოს ბოლო პერიოდის სილაბუსის შინაარსთან შესაბამისობაში მყოფი გამოცემები. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის („ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის აღმოსავლეთ ევროპის არქეოლოგიის საკითხები“, „საქართველოს არქეოლოგიის (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“) ძირითადი ლიტერატურა უნდა დაკორექტირდეს და თემატურად თანხვედრაში მოვიდეს სილაბუსის სათაურებთან. ასევე, რეკომენდებულია ზოგიერთ სილაბუსში ჩართული ძირითადი ლიტერატურის შემცირება. ასევე უნდა დაკორექტირდეს მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკანტ სტუდენტთა ზედა ზღვარი და ის განისაზღვროს არაუმეტეს 7 სტუდენტისა, რათა მიღწევადი იყოს პრაქტიკით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლა. გარდა ამისა, უნდა დაკორექტირდეს საველე პრაქტიკის ერთ-ერთ ადგილად მიჩნეული ხვამლის ნაქალაქარი, რომელიც რეალურად არ არსებობს და ესაა მხოლოდ შუა საუკუნეების ნაეკლესიარის შესწავლისთვის მიმდინარე არქეოლოგიური ექსპედიცია. მისი თქმით, რეკომენდებულია არქეოლოგიური ეპოქების შემსწავლელ სალექციო კურსებში, ასევე „ნუმისმატიკის შესავალი“ და „სამუზეუმო-საარქივო საქმე“ წარიმართოს ჩაშენებული პრაქტიკის თანხლებით. ასევე, სტუდენტებმა პრაქტიკული მეცადინეობები პერიოდულად უნდა მიიღონ არა მხოლოდ მემორანდუმით გათვალისწინებულ დაწესებულებებში, არამედ ეროვნულ მუზეუმში, მცხეთის, რუსთავის და ქალაქის მიმდებარე მუზეუმებში, სადაც სტუდენტთა მობილობა გაცილებით ადვილია.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს. კერძოდ, რატომ უნდა განისაზღვროს პრაქტიკანტ სტუდენტთა რაოდენობა მხოლოდ 7 სტუდენტით. ექსპერტმა, ქეთი დიდმელაშვილმა უპასუხა, რომ აქ საუბარია ხვამლის ნაქალაქარზე, რომელიც რეალურად არ არსებობს და მოსაზრება გამოითქვა, რომ პრაქტიკას სტუდენტები გაივლიდნენ მუზეუმში დაცულ მასალაზე. მუზეუმი არის პატარა მოცულობის და 7-ზე მეტი სტუდენტის თავმოყრა მასში მოუხერხებელია. მისი აზრით, სტუდენტების რაოდენობა რაც ნაკლები იქნება, პრაქტიკანტებს ცოდნის მიღება მარტივად შეეძლებათ. ექსპერტმა ქრისტინე ჩიხლაძემ აღნიშნა,

რომ დაწესებულების მიერ იყო წარმოდგენილი მემორანდუმები, რომლითაც განსაზღვრული იყო 30 სტუდენტი. მისი თქმით, ექსპერტმა ჯგუფმა ჩათვლა მიზანშეწონილად, რომ ეს რაოდენობა შემცირებულიყო.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯონი აფაქიძემ განაცხადა, რომ ჩართული იყო არქეოლოგიის სტანდარტების შემუშავების პროცესში სხვა კოლეგებთან ერთად. მისი თქმით, არ არსებობს ისეთი სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს პრაქტიკანტ სტუდენტთა ზედა ზღვარს. სილაბუსებში სტუდენტთა რაოდენობა არის მითითებული, კერძოდ 12-13 სტუდენტი, რომლებიც პრაქტიკას გაივლიდნენ ცაგერში, ხოლო დანარჩენი ბათუმში. დაწესებულების მიერ გაფორმებული 3 მემორანდუმი სრულად უზრუნველყოფს იმ სტუდენტთა რაოდენობას რომელიც საჭიროა. გარდა ამისა, როდესაც სტუდენტი გათხრებში იღებს მონაწილეობას, ნაწილი რჩება მასალის დამუშავებასა და ველზე. მისი თქმით, ხვამლის ნაქალაქარზე პრაქტიკის ჩატარება იყო ცაგერის ისტორიული მუზეუმის ყოფილი დირექტორის ბატონ ნუგზარ კოპალიანის შემოთავაზება. როგორც ცნობილია, ცაგერის მუნიციპალიტეტი მდიდარია არქეოლოგიური ძეგლებით და იქ სხვადასხვა ექსპედიცია მუშაობს. მისი თქმით, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს 10 წლიანი თანამშრომლობა აქვს საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან, რაც იმის დასტურია, რომ სტუდენტები შეძლებენ პრაქტიკის გავლას. დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის დაცვაში პროგრამის ხელმძღვანელის წილი არის 30%. ის აფასებს სტუდენტთა მუშაობის უნარებს. მისი თქმით, დაწესებულებისთვის ეს არის მისაღები და მასში არანაირი პრობლემა არ იკვეთება. გარდა ამისა, პრობლემას არ წარმოადგენს გამოცდების ზეპირი ფორმით ჩატარებაც, რადგან ეს არის ჰუმანიტარული დარგი, რომელიც მოითხოვს წყაროებთან მუშაობას, აზროვნებას, საუბარს და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლია ახალაძემ განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაციით გათვალისწინებული ტექნიკური ხარვეზები გამოსწორებულია და შესაბამისობაშია მოყვანილი მოთხოვნებთან. მისი თქმით, რეკომენდაციებს სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს, მაგრამ „ევროპა ამერიკის უახლესი ისტორია II-ის“ მიმართ არ იზიარებს იმიტომ, რომ ამ კურსის სილაბუსში წარმოდგენილი სწავლის შედეგებით გადის სწავლის მე-2 შედეგზე, რადგან სასწავლო კურსში გათვალისწინებულია ისტორიულ მეცნიერებაში არსებული უახლესი გამოკვლევებისა და მიღწევების შესახებ მსჯელობა, ასევე განიხილავს უახლესი პერიოდის ევროპის ისტორიის სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროებს, მონაცემებსა და რუკებს, ახდენს მათ კლასიფიკაციას და სისტემატიზაციას, რომლებზე დაყრდნობით განსაზღვრავს ცალკეული ისტორიული პერიოდებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტებს იმაში, რომ შედეგზე გადის სასწავლო კურსი „წყაროთმცოდნეობა“ და ეს ასახულიცაა სწავლის შედეგების რუკაზე. მისი თქმით, სასწავლო კურსი „ლათინური ენა“, როგორც ძველი საისტორიო წყაროების გაცნობა – შესწავლისთვის აუცილებელი საგანი გადის პროგრამის მე-2 შედეგზე და ეს აისახა უკვე სწავლის შედეგების რუკაზე. რაც შეეხება „აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია“-ს ისევე, როგორც ლათინური ენის შემთხვევაში, გამორჩენილია და კორექტურაა გაპარული – დამატებულია სწავლის შედეგების შეფასების როგორც განმტკიცების შედეგზე გამყვანი სასწავლო კურსი, ხოლო იმავე სწავლის შედეგის განმტკიცების ჯგუფის საგნებიდან ამოღებულია „აფხაზეთის ისტორია“ და „წყაროთმცოდნეობა“. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ისტორიის პროგრამის მე-8 სწავლის შედეგზე, როგორც განმტკიცების – შედეგზე გამყვანი საგნების მრავალრიცხოვნება მომდინარეობს შესაბამისი სილაბუსების სწავლის შედეგებიდან და აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების საფუძველზე ჩასწორდება. მან აღნიშნა, რომ ეს ჩასწორებები ნამდვილად შეუწყობს ხელს სწავლის შედეგების შეფასების გეგმის რეალურ შესრულებას. დაწესებულების წარმომადგენელმა, ზურაბ პაპასკირმა აღნიშნა, რომ ყველა

კურსდამთავრებულს გავლილი აქვს 4 სემესტრიანი დისციპლინა, რომელიც წარმოადგენს დიდ ტრადიციას და მოდის სსრკ-დან. მისი თქმით, ისტორიისადმი მიმზიდველობას ახალგაზრდებისათვის ქმნის „ევროპა-ამერიკის ახალი“ და „უახლესი ისტორიის“ არსებობა. ამ ეტაპზე დაწესებულება არ არის მზად, რომ გაითვალისწინოს ის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც კრედიტების შიდა განაწილების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, 4-სემესტრიანი „ევროპა-ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია“ უნდა გახდეს 2- სემესტრიანი. მან აღნიშნა, რომ „საქართველოს ისტორია XIX – XXI საუკუნის დამდეგი“ არის სავალდებულო საგანი როგორც „Major“, ისე „Mainor“ პროგრამაში, თუმცა „Mainor“ პროგრამაში მოხდა კრედიტების შემცირება, კერძოდ იყო 68 კრედიტიანი და გახდა 48 კრედიტიანი, თუმცა ვერ მოხერხდებოდა „მსოფლიო ისტორიის“ ხარჯზე კრედიტების შემცირება. შესაბამისად, „ძველი და შუა საუკუნეების ისტორია“ დარჩა სავალდებულო საგნად, ხოლო არჩევითი სტატუსი მიენიჭა „საქართველოს ისტორია XIX – XXI საუკუნის დამდეგს“. მან განაცხადა, რომ სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ისტორიის“ პროგრამა იყო ლიდერი იურიდიული ფაკულტეტის შემდეგ თავისი აკადემიური პერსონალით იმიტომ, რომ ყველაზე ბევრი და წარმატებული მეცნიერებათა დოქტორი ამ სპეციალობასა ჰყავდა, რისი დასტურიცაა უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში მომუშავე პერსონალი. უნივერსიტეტის წარმომადგენელი ჯონი აფაქიძე არ დაეთანხმა იმ რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც „საქართველოს ისტორია“ II კურსის მე-2 სემესტრიდან გადატანილი იქნას მე-3 სემესტრში, ხოლო „არქეოლოგიის საფუძვლები“ გადმოტანილი იქნას მე-2 სემესტრში. დაწესებულება იზიარებს იმ რეკომენდაციას, რომ ჯერ წაკითხული უნდა იქნას „საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგია“ და „ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგია“, ხოლო შემდეგ საგანი „საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები“. ამ შემთხვევაში, როგორც რეკომენდაციაშია აღნიშნული, ამ საგნებს შორის ქრონოლოგიური ბმა და გადასვლა უკეთ იქნება გათვალისწინებული. ის ქალაქები, რომლებიც სილაბუსში არ არის ნახსენები (კვეტარა, მანავი, ბოდოჯი, ჭაპალა და სხვ.) აუცილებლად იქნება სასწავლო კურსში წარმოდგენილი. რეკომენდაციის საფუძველზე მოხდება ასევე საგნის „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპების“ სწავლის შედეგების დაზუსტება. რაც შეეხება რჩევას შუა საუკუნეების არქეოლოგიის შესწავლის ისტორიის დამატების შესახებ, მისი ჩამატება სილაბუსში გამოიწვევს პრეისტორიული, ანტიკური და გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიის სწავლებისათვის განკუთვნილი თემების შემცირებას, რაც არ არის სასურველი. მისი თქმით, დაწესებულება ამ რჩევას ვერ გაითვალისწინებს.

### **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, დავით ჩოჩიშვილმა კითხვით მიმართ ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, სტანდარტი 1.4 - სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან, მაშინ როდესაც სტანდარტი 1.1 და 1.2 არის სრულად შესაბამისობაში. მას აინტერესებდა, გადის თუ არა პროგრამა შედეგზე. გარდა ამისა, მიზანშეწონილია თუ არა „კავკასიის ხალხთა ისტორიისა“ და „ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიის“ შემოტანა როგორც სავალდებულო კურსებად სხვა სავალდებულო კურსების ხარჯზე. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბონდო კუპატაძემ უპასუხა, რომ „ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა“ და „აზია-აფრიკის ახალი და უახლესი ისტორიის“ გვერდით „ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორიის“ არარსებობა პროგრამაში არღვევს ისტორიათა ქრონოლოგიურ ქარგას. მისი თქმით, რეკომენდაციას ჰქონდა რჩევის სახე და შემდეგ გადავიდა რეკომენდაციაში. რეკომენდაციის საფუძველი გახდა ის, რომ სტუდენტებმა სიღრმისეულად შეისწავლონ საქართველოს მეზობელთა ქვეყნების ისტორია. მან აღნიშნა, რომ პროგრამა რა სახითაც არის წარმოდგენილი სწავლის შედეგზე გადის, მაგრამ რეკომენდაციები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პროგრამა გავიდეს უკეთეს შედეგზე.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა შეკითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, აკმაყოფილებდა თუ არა სტუდენტი დარგობრივ მახასიათებლით განსაზღვრულ მინიმალურ

კომპეტენციებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ბუნდო კუპატაძემ უპასუხა, რომ სტუდენტი დარგობრივ მახასიათებლით განსაზღვრულ მინიმალურ კომპეტენციებს აკმაყოფილებს. ეკატერინე ნაცვლიშვილმა დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა დაწესებულებას, კერძოდ იყო თუ არა საბაკალავრო ნაშრომის შემფასებელი რეცენზენტი. დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელი გალდავამ უპასუხა, რომ საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი აფასებს ბაკალავრის მუშაობის პროცესს, ხოლო ნაშრომს აფასებს სპეციალური კომისია და რეცენზენტი. საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას, თუ რა გახდა აკადემიური წერის სტილთან დაკავშირებული რჩევის გაცემის საფუძველი. გარდა ამისა, იყო თუ არა საჭირო, რომ განახლდეს არსებული სასწავლო ლიტერატურა ისტორიის პროგრამის მიმართებით. ბუნდო კუპატაძემ უპასუხა, რომ აკადემიურ წერის სტილთან დაკავშირებული რჩევის გაცემის საფუძველი გახდა ადგილზე ვიზიტის დროს გაცნობილი საბაკალავრო ნაშრომები. მისი თქმით, ეს არის ზოგადი პრობლემა უსდ-ის სისტემებში. ის, რაც სტუდენტმა „აკადემიური წერის“ დროს ისწავლა ვერ იყენებს პრაქტიკაში იმიტომ, რომ შეხება არა აქვს არც რეფერატთან და არც საბაკალავრო ნაშრომთან. შესაბამისად, რჩევის საფუძველი გახდა ეს, რათა მოხდეს პრაქტიკული უნარების გამომუშავება. გარდა ამისა, აუცილებელია რომ განახლდეს ლიტერატურა როგორც „ისტორიის“, ისე „არქეოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამებში. საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას იყო თუ არა დაწესებულება კმაყოფილი „ისტორიისა“ და „არქეოლოგიის“ პროგრამებზე შესრულებული საბაკალავრო ნაშრომების ხარისხით. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლია ახალაძემ უპასუხა, რომ პირველ კურსზე „აკადემიურ წერას“ სწავლობს სტუდენტი, მაგრამ სიღრმისეულად მისი შესწავლა ხდება შემდეგ სემესტრებში. გარდა ამისა, „კვლევის მეთოდოლოგია“ ცალკე დარგია იმისათვის, რომ სტუდენტმა ისწავლოს საბაკალავრო ნაშრომის წერის ფორმები, კვლევის მეთოდები და ა.შ, რომელიც არის ორიენტირებული საბაკალავრო ნაშრომის სრულყოფილად შესრულებაზე. რომელი გალდავამ აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომებში შესაძლებელია იკვეთებოდეს უმნიშვნელო ხარვეზები, რომელსაც დაწესებულება გაითვალისწინებს და ახლო მომავალში გამოასწორებს. ლია ახალაძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ არის ისეთი საბაკალავრო ნაშრომები, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომებსაც კი სჯობს. მისი თქმით, სტუდენტები თავად არიან ჩართული საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების პროცესში.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 19:09**

**დასრულების დრო: 19:54**

## **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

## **კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

### ეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. დაზუსტდეს და გასწორდეს მათში არსებული შინაარსობრივი უზუსტობები;
- რეკომენდებულია, აკადემიური წერის სილაბუსის გადახედვა და გაუმჯობესება სამეცნიერო ბაზების გამოყენებისა და აკადემიური სტილის შესწავლის თვალსაზრისით"
- რეკომენდებულია, პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით დეტალურად შეისწავლოს და განიხილოს თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე განახორციელოს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებით, რომელიც გაუსის ნორმალურ განაწილებას არ შეესაბამება.
- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით.

### რჩევები:

- სასურველია, ოსმალეთის ისტორიის კურსი შეიცვალოს თურქეთის ისტორიის კურსით. კურსის სილაბუსსაც შესაბამისად დაემატოს თურქეთის ისტორიის უახლესი პერიოდი.
- სასურველია, “ნუმიზმატიკის” არჩევითი სასწავლო კურსის დამატება (წარმოდგენილ კურიკულუმში ეს კურსი მხოლოდ არქეოლოგიის პროგრამაშია).
- სასურველია, უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის წერის პერიოდში სტუდენტებს მიეწოდოს საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების სტილზე მეტი ინფორმაცია.
- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელის ინდივიდუალური დატვირთვის სქემაში გაპარული ლაფსუსი გასწორდეს და სადოქტორო თემის ხელმძღვანელობის ზღვრული ნორმა 60 საათის და 5 სტუდენტის ნაცვლად ჩასწორდეს, როგორც უნივერსიტეტის შესაბამისი დოკუმენტით არის გაწერილი - 90 საათით და 3 სტუდენტით;
- სასურველია, კლასტერში დაჯგუფებული ისტორიისა და არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სამომავლოდ განხორციელდეს მეტად სიღრმისეული შრომის ბაზრის კვლევა.
- სასურველია საუნივერსიტეტო გამოკითხვის კითხვარების გადახედვა, მათი შინაარსისა და ფორმულირებების დახვეწა.

- სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამების მონიტორინგის პროცესის თითოეული ეტაპის დაგეგმვის განხორციელებისა და მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში.

### **საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "არქეოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

აგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

### **რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, გადაიხედოს გარკვეული სალექციო კურსების ჯაჭვური ბმა და თანმიმდევრობა სტრუქტურაში. კერძოდ, „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე“ მეორე სემესტრიდან გადავიდეს მესამე სემესტრში, ხოლო მესამე სემესტრიდან მეორე სემესტრში გადმოინაცვლოს „არქეოლოგიის საფუძვლების“ კურსმა.
- რეკომენდებულია, სალექციო კურსების გადანაცვლება კურიკულუმში, ისე, რომ ჯერ წაკითხულ იქნეს „ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია“, ხოლო შემდეგ „საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები“, რათა ქრონოლოგიური გადასვლა და ბმა იყოს ამ ორ სასწავლო კურსს შორის.
- რეკომენდირებულია გადაიხედოს „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპების“ სწავლის შედეგები.
- რეკომენდირებულია გადაიხედოს და ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდეს სალექციო კურსის „საქართველოს არქეოლოგია (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“ კურსის სახელწოდება, მისაღწევი შედეგები და სასწავლო კურსის შინაარსი.

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიის შესავალი“-ს ან მიზნები და შედეგები დაკორექტირდეს, ან სილაბუსის კურსში ჩაიშალოს ის საკითხები, რაც მიზნებსა და შედეგებშია მოცემული და სილაბუსში არ ჩანს.
- სასწავლო სილაბუსებში ჩაემატოს ბოლო პერიოდის სილაბუსის შინაარსთან შესაბამისობაში მყოფი გამოცემები.
- ზოგიერთი სასწავლო კურსის („ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის აღმოსავლეთ ევროპის არქეოლოგიის საკითხები“, „საქართველოს არქეოლოგიის (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხესიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“) ძირითადი ლიტერატურა დაკორექტირდეს და თემატურად თანხვედრაში მოვიდეს სილაბუსის სათაურებთან.
- რეკომენდირებულია ზოგიერთ სილაბუსში ჩართული ძირითადი ლიტერატურის შემცირება.
- დაკორექტირდეს სავლე პრაქტიკის ერთ-ერთ ადგილად მიჩნეული ხვამლის ნაქალაქარი, რომელიც რეალურად არ არსებობს და ესაა მხოლოდ შუა საუკუნეების ნაეკლესიარის შესწავლისთვის მიმდინარე არქეოლოგიური ექსპედიცია.
- რეკომენდებულია არქეოლოგიური ეპოქების შემსწავლელ სალექციო კურსებში, ასევე „ნუმიზმატიკის შესავალი“ და „სამუზეუმო-საარქივო საქმე“ წარმართოს ჩაშენებული პრაქტიკის თანხლებით.
- რეკომენდებულია სტუდენტებმა პრაქტიკული მეცადინეობები პერიოდულად მიიღონ არა მხოლოდ მემორანდუმით გათვალისწინებულ დაწესებულებებში, არამედ ეროვნულ მუზეუმში, მცხეთის, რუსთავის და ქალაქის მიმდებარე მუზეუმებში, სადაც სტუდენტთა მობილობა გაცილებით ადვილია.
- რეკომენდებულია, აკადემიური წერის სილაბუსის გადახედვა და გაუმჯობესება სამეცნიერო ბაზების გამოყენებისა და აკადემიური სტილის შესწავლის თვალსაზრისით
- ეკომენდირებულია, პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით დეტალურად შეისწავლოს და განიხილოს თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე განახორციელოს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებით, რომელიც გაუსის ნორმალურ განაწილებას არ შეესაბამება.
- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით.

## რჩევები:

- სასურველია, კურიკულუმს არჩევითი სასწავლო საგნების სახით დაემატოს გლიპტიკა, მინერალოგია, პრაქტიკული ანთროპოლოგია, რომლებიც უფრო მეტად უზრუნველყოფდნენ სტუდენტის აღჭურვას ინტერდისციპლინური ცოდნით.
- სასურველია „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპების“ სალექციო კურსის შინაარსში ჩაემატოს შუა საუკუნეების პერიოდის არქეოლოგიის შესწავლის ისტორია, რათა კურსის შინაარსი თანხვედრაში მოვიდეს კურსის სახელწოდებასთან.
- დაკორექტირდეს მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკანტ სტუდენტთა ზედა ზღვარი რათა მიღწევადი იყოს პრაქტიკით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლა. გადავიდეს რჩევაში
- სტუდენტები საჭიროებენ საინფორმაციო შეხვედრას, სადაც გაეცნობიან კონკურსს სტიპენდიების შესახებ. აგრეთვე, სასურველია სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, გამოიმუშავოს პრეზენტაციების უნარი და სასემინარო აქტივობის ფარგლებში წარადგინოს პრეზენტაციები. ამასთან ერთად, სალექციო პროცესის განმავლობაში სტუდენტები

საჭიროებენ მეტ ვიზუალურ მასალას (პრეზენტაციების სახით). და ბოლოს, სასურველია სტუდენტებს მიეცეთ მეტი პრაქტიკის გავლის საშუალება ადრეული საფეხურიდან, ვინაიდან დარწმუნდნენ, ხედავენ თუ არა საკუთარ თავს ამ პროფესიაში.

- სასურველია, უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის წერის პერიოდში სტუდენტებს მიეწოდოთ საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების სტილზე მეტი ინფორმაცია.
- სასურველია პროგრამის ხელმძღვანელის ინდივიდუალური დატვირთვის სქემაში გაპარული ლაფსუსი გასწორდეს და სადოქტორო თემის ხელმძღვანელობის ზღვრული ნორმა 60 საათის და 5 სტუდენტის ნაცვლად ჩასწორდეს, როგორც უნივერსიტეტის შესაბამისი დოკუმენტით არის გაწერილი - 90 საათით და 3 სტუდენტით;
- სასურველია, კლასტერში დაჯგუფებული ისტორიისა და არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სამომავლოდ განხორციელდეს მეტად სიღრმისეული შრომის ბაზრის კვლევა.
- სასურველია საუნივერსიტეტო გამოკითხვის კითხვარების გადახედვა, მათი შინაარსისა და ფორმულირებების დახვეწა.
- სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამების მონიტორინგის პროცესის თითოეული ეტაპის დაგეგმვის განხორციელებისა და მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 20:00 საათზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბუჩაშვილი გოდერძი



საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ტეფნაძე დავით

